აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№13 (25.191) 11 აპრილი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 11-16, მთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

9 აპრილი – ტკივილი და გამარჯვება

მთავრობის ახალი თავმჯდომარე – აჭარის მთიანეთში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მას შემდეგ, რაც აჭარის მთავრობის ახალი თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინეს, იგი მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. საგულისხმოა, რომ მან გაცნობითი შეხვედრები, 10 აპრილს, აჭარის მთიანეთიდან დაიწყო, სადაც ქედის, შუახევისა და ხულოს მერიების, ასევე, საკრებულოების საჯარო მოხელეებს შეხვდა

რეგიონის პირველი პირი გაეცნო პროგრამებს, რომლებიც მიმდინარე წელს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ხორციელდება. ამ საკითხსა და იმ პრიორიტეტებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობენ, სულხან თამაზაშვილს ინფორმაცია ქედისა და შუახევის მერებმა როლანდ ბერიძემ და ომარ ტაკიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულატ მელაძემ მიაწოდეს.

- მეტი საჯაროობა, დაკისრებული მოვალეობებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, გამოწვევებისა და პრობლემების არსში წვდომა თითოეული საჯარო მოხელის მუშაობის მთავარი მიმართულება უნდა იყოს. რეგიონის ხელმძღვანელობა მივესალმებით სასარგებლო ინიციატივებსა და წინადადებებს, - განაცხადა შეხვედრებზე სულხან თამაზაშვილმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე შუახევში სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონს შეხვდა. მათ დაათვალიერეს დაბა შუახევში ახლად აშენებული წმინდა სამების სახელობის ტაძარი, სადაც სააღდგომო წირვა-ლოცვა წელს პირველად აღევლინება.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკადრო ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში და შეფასებები პოლიტიკურ სპექტრში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

სახელისუფლებო გუნდში ცვლილებებია. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა თორნიკე რიჟვაძემ. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებამ მის მიერ სოციალურ ქსელში დაწერილი პოსტით გაიგო

„მივიღე გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების შესახებ.

მეშვიდე წელია ვიკავებ აღნიშნულ პოზიციას. დროა სიახლის და მინდა წარმატება ვუსურვო მომავალ თავმჯდომარეს. მინდა მადლობა გადავუხადო „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს შესაძლებლობისთვის, მემსახურა ჩემი კუთხისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ ყაველაშვილს მთავრობის თავმჯდომარეობის პერიოდში გაწეული მხარდაჭერისთვის. მადლობა თითოეულ თანამშრომელს, პარტიის წევრებს, გუნდს. განსაკუთრებული მადლობა აჭარის მოსახლეობას გამოცხადებული ნდობისთვის. ვრჩები „ქართული ოცნების“ ერთგულ ჯარისკაცად და დარწმუნებული ვარ, არაერთი დიდი გამარჯვება გველის წინ!“ - დაწერა თორნიკე რიჟვაძემ სოციალურ ქსელში.

5 აპრილს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საზოგადოებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარეობის ახალი კანდიდატი, სულხან თამაზაშვილი წარუდგინა, რომელიც ამ დრომდე თბილისის პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

„მექნება შესაძლებლობა, რომ ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში მოვახმარო ჩემს ხალხს და რესპუბლიკას. მადლობა ნდობისთვის. ეს არის პასუხისმგებლობა და ამ პასუხისმგებლობას ამძაფრებს ის გარემოება, რომ მე ვარ ამ კუთხის შვილი. მე დავიბადე და გავიზარდე აჭარაში. ჩემს მეხსიერებაში ყველაზე კარგი თუ რამე მახსენდება, ალბათ ამ წლებს უკავშირდება. მადლობა შესაძლებლობისთვის. მექნება შესაძლებლობა, რომ ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში მოვახმარო ჩემს ხალხს და ჩემს რესპუბლიკას“, - განაცხადა თამაზაშვილმა წარდგენისას.

7 აპრილს აჭარის საკანონმდებლო ორგანომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ სულხან თამაზაშვილი ერთხმად დაამტკიცა. რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი თავმჯდომარის, სულხან თამაზაშვილის კანდიდატურასა და მინისტრთა კაბინეტს ერთიანად უყარეს კენჭი.

სულხან თამაზაშვილმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძეს და საკანონმდებლო ორგანოს წევრებს მადლობა გადაუხადა ნდობისთვის და აღნიშნა, რომ აქტიური თანამშრომლობით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შეძლებენ ქვეყნისა და რეგიონისთვის.

აღსანიშნავია, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ სულხან თამაზაშვილის დამტკიცების პარალელურად ხმაური იყო აჭარის მთავრობის სახლთან, სადაც მზია ამაღლობელის მხარდაჭერისა და სოლიდარობის ნიშნად გამოცემა „ბათუმელებისა“ და სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. შეკრებილების განცხადებით, მათ „ქართული ოცნებისთვის“ კიდევ ერთხელ უნდოდათ იმის შეხსენება, რომ მზია ამაღლობელი პოლიტპატიმარია.

იმავე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი თავმჯდომარე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა.

„დღეს დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი თავმჯდომარე. მინდა, ბატონ სულხანს მივულოცო ეს ახალი, ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი პოზიცია. ბატონი სულხანი არის გამორჩეული პროფესიონალი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული გამოცდილება, ძირითადად სამართალდამცავ სტრუქტურებში. სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობა განსაკუთრებულ გამოცდილებას აძლევს ადამიანს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მენეჯერული საქმიანობის განხორციელებისთვის და, ზოგადად, მართვისთვის. ჩვენ ვართ ყველანაირად დარწმუნებული, რომ ბატონი სულხანი იქნება მთავრობის წარმატებული თავმჯდომარე“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ სულხან თამაზაშვილის წარდგენისას.

შეფასებები გააკეთეს აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებმაც.

- სულხან თამაზაშვილი არის კეთილსინდისიერი და პროფესიონალი, ასევე, ეროვნული და სახალხო საქმით ცნობილი ოჯახის წევრი,“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა „ქართული ოცნებიდან“ ცოტნე ანანიძემ.

- გუნდში ყველა მზად არის, რომ გვერდით დაუდგეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს და მინისტრთა კაბინეტს. ჩვენ გვექნება ძალიან ბევრი გამოწვევა და ერთად მზად ვართ ამ გამოწვევების გადასალახად, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ სულხან თამაზაშვილის წარდგენისას.

პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის წევრი თემურ გორგაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ სულხან თამაზაშვილის აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის ორი ფაქტორი არსებობს.

- ჯამში, ალბათ ორი ფაქტორია. ერთი ის, რომ კალაძის კლანის ჩაჩოჩება დაიწყეს და ვიცით, რომ რიჟვაძე კალაძის კლანის წევრია და მეორე ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიების აკრძალვის სარჩელის განხილვა რომ დაიწყება, სავრაუდოდ, „ქართული ოცნება“ ხალხისგან პროტესტს ელოდება, ამიტომ პოლიციურ რეჟიმზე გადააწყვეს აჭარა და პოლიციელი გამოუშვეს აჭარაში, - გვითხრა თემურ გორგაძემ.

ცვლილებები ამით არ დასრულებულა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გრიგოლ ლილუაშვილის ნაცვლად ანრი ოხანაშვილმა ჩაიბარა. მანამდე იგი იუსტიციის მინისტრის პოსტს იკავებდა.

საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად ანრი ოხანაშვილი 6 წლის ვადით აირჩია.

მიმდინარე კვირაში კიდევ ერთი სამთავრობო ცვლილება განხორციელდა. იუსტიციის მინისტრად პარლამენტარი პაატა სალია დაინიშნა. ის საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სამინისტროს თანამშრომლებს წარუდგინა.

ბოლო პერიოდის სამთავრობო ცვლილებები განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემაა პოლიტიკურ სპექტრში. ოპოზიციის განცხადებით, გატარებული ცვლილებები ფორმალურია.

„ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის და, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებისთვის ამ ე.წ. საკადრო ცვლილებებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს საკადრო გადაადგილებები არ ხორციელდება მოქალაქეების ინტერესების გამო. ერთი ადამიანი მეორეს სად ჩაანაცვლებს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს არ გამომდინარეობს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესებიდან და ეს მხოლოდ ერთი ადამიანის კონკრეტული ინტერესებია,“ - განაცხადა მედიასთან საუბარში პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრმა ანა ბუჩუკურმა.

კოალიცია „ძლიერ საქართველოში“ კი მიაჩნიათ, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

„არ აქვს მნიშვნელობა ,,ქართული ოცნების“ წიაღში რომელი სამინისტრო რას დაირქმევს და რომელი ადამიანი გადავა სხვა თანამდებობაზე. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ქვეყანაში არის საპარლამენტო კონსტიტუციური პოლიტიკური კრიზისი და კრიზისის განმუხტვას თანამდებობის პირების გადაჯგუფებით ვერაფერს უზამენ“, - აღნიშნა „ძლიერი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრმა ლანა გალდავამ.

მმართველ გუნდში კი აცხდებენ, რომ საკადრო ცვლილებები მთავრობის ეფექტიანობის ამაღლებას ემსახურება.

„ნებისმიერი ცვლილება სამთავრობო აღმასრულებელ რგოლსა და სისტემაში მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ კიდევ უფრო ეფექტური და გამჭვირვალე მართვისთვის“, - თქვა ჟურნალისტებთან საუბარში საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ირაკლი კირცხალიამ.

ქრონიკა

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილ სულხან თამაზაშვილის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი. კანონმდებლებმა ასევე დაუჭირეს მხარი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას, რომელიც ამ ეტაპისთვის უცვლელი რჩება. რეგიონის ახლად არჩეულმა მმართველმა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მადლობა გადაუხადა ნდობის გამოცხადებისათვის. სულხან თამაზაშვილის განცხადებით, იგი მზად არის, მთავრობაში შემავალ ყველა უწყებასთან ერთად, კოორდინირებულად იმუშაოს, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს უკვე არსებული პროექტებისა თუ მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების ჯეროვნად შესრულება, რომელიც არაერთ სიკეთეს მოიტანს რეგიონისთვის. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა საინვესტიციო პროექტებზე, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაგეგმილ მნიშვნელოვან პროექტებზე. კენჭისყრამდე, როგორც მთავრობის თავმჯდომარეობის, ასევე, მინისტრობის კანდიდატებმა კანონმდებელთა შეკითხვებს უპასუხეს, მოისმინეს მათი მოსაზრებები და წინადადებები. პლენარულ სხდომამდე, საკანონმდებლო ორგანოში გაიმართა საკომიტეტო მოსმენები, ბიუროსა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომები, სადაც მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, მინისტრთა კაბინეტის უცვლელ შემადგენლობასთან ერთად, სამთავრობო პროგრამა, სამოქმედო გეგმა და სამომავლო ხედვები წარადგინა.

* * *

„გასტრონომია და ღვინო“, „ბუნება და ეკოტურიზმი“, „ისტორია, კულტურა და სპორტი“, „საქმიანი ტურიზმი“ - აჭარაში რეგიონის საპრომოციო ახალი ტურისტული ბროშურები დაიბეჭდა. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა თემატური საპრომოციო ბროშურები რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების წარმოჩენისა და რეკლამირების მიზნით მოამზადა. ახალი ბროშურების აღება ვიზიტიორებს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში შეეძლებათ.

* * *

ქედის სალოტბარო სკოლას სტუმრობდა ლოტბარი და მგალობელი, საქართველოს მასშტაბით ყველა სალოტბარო სკოლის გალობის მიმართულების კოორდინატორი ბესო მახათაძე. მან მოისმინა სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული სიმღერა-საგალობლები, გამართა ლექცია-მასტერკლასი. შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა. ბავშვებს შესაძლებლობა მიეცათ, დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო თემებზე, მოესმინათ პასუხები. მისასალმებელია, რომ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 2025 წლის მთავარი გამოწვევა სალოტბარო სკოლებში ქართული ტრადიციული გალობის სწავლების გაძლიერებაა. წელსვე იგეგმება ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლების მოსწავლეების ერთობლივი მონაწილეობა ლიტურგიაში. ქედის სალოტბარო სკოლა უკვე აქტიურად ემზადება გალობის ფესტივალისთვის, რომელიც მაისში იგეგმება. ისიც უნდა ითქვას, რომ სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა მართლმადიდებლური ტაძარში უკვე გალობს.

* * *

აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა (პრეზიდენტი - შალვა ტაბაღუა) და აჭარის სპორტის დეპარტამენტის თანადგომით, ვეტერანთა შორის შაშსა და დარტსიში საგაზაფხულო პირველობა ჩატარდა. ღონისძიებას ბათუმის №2 საჯარო სკოლამ უმასპინძლა. შაშში პირველ ადგილზე მედეა ბიბილეიშვილი გავიდა, მეორეზე - ნინო აბაშიძე, მესამე ადგილი კი თამარ ბურჭულაძემ დაიკავა. დარტსიში პირველი ადგილი ნინო აბაშიძემ მოიპოვა, მეორე - მედეა ბიბილეიშვილმა, მესამე - ნარგიზ დიასამიძემ. მონაწილეები მხარდაჭერისთვის მადლობას უხდიან ბათუმის №2 საჯარო სკოლის დირექტორ მარიზა აბაშიძეს. ტურნირს შალვა ტაბაღუა მსაჯობდა.

* * *

აზერბაიჯანი სპორტულ კარატეში საერთაშორისო ტურნირ „გრან პრის“ მასპინძლობდა. მასში აჭარიდან წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს, მათ მონაგარში სამივე სინჯის მედალია. პირველ ადგილზე ქეთი ხარაძე გავიდა (-42 კილოგრამი წონითი კატეგორია), ლუკა შანთაძემ მეორე ადგილი დაიკავა (+75 კგ), მესამე - ლუკა ახვლედიანმა (-40კგ) და საბა სურმანიძემ (-67 კგ).

* * *

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერითა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, ღია რეიტინგ-ტურნირი - „შოთა ჭურკვეიძის თასი“ გაიმართა ელვისებურ ჭადრაკში, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ჩემპიონატი ღია და ასაკობრივ კატეგორიებში ჩატარდა. ღია კატეგორიის გამარჯვებული სამეული: ალექსანდრ კოპილოვი (7-დან 6.5 ქულა), გაიოზ ნიგალიძე (7-დან 6.5 ქულა), შოთა ცეცხლაძე (7-დან 4.5 ქულა). ქალთა ნომინაციის გამარჯვებულია თინათინ ბერიძე (7-დან 4.5 ქულა). 8 წლამდე კატეგორიის გამარჯვებული სამეული კი ასე გამოიყურება: ლაშა კახიძე (7-დან 7 ქულა), მათე ბერიძე (7-დან 5 ქულა), ანდრია ციცაძე (7-დან 5 ქულა). სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გოგონათა ნომინაციაში გაიმარჯვეს მარიტა ბოლქვაძემ (7-დან 3.5 ქულა), ევა სოსელიამ (7-დან 4.5 ქულა), ნინო ბოლქვაძემ (7-დან 5 ქულა). 10 წლამდე კატეგორიაში ადგილები ასე გადანაწილდა: დანიელ სხვიტარიძე (7-დან 7 ქულა), ჰასან დადაევი (7-დან 5 ქულა), დაჩი ბალაძე (7-დან 5 ქულა). 12 წლამდე კატეგორიაში პირველი სამი ადგილი ასე გამოიყურება: ილია აბულაძე (7-დან 7 ქულა), ალექსანდრე კალანდაძე (7-დან 5 ქულა), არიანა არუთინიანი (7-დან 4 ქულა). ღია ტურნირის გამარჯვებული სამეული და ქალთა ნომინაციაში გამოვლენილი საუკეთესო მოჭადრაკეები დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით დაჯილდოვდნენ.

სოსო მანჯავიძე: შესაძლებელია, უკვე აქვთ საფრთხეების შესახებ ინფორმაცია და თამაზაშვილის დანიშვნა უკავშირდებოდეს პრევენციას...

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

გასული კვირა დედაქალაქში სამთავრობო საკადრო ცვლილებებით დაიწყო. თანამდებობა დატოვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაყოფის შემდეგ რეგიონული განვითარების სამინისტროს უნდა ჩადგომოდა სათავეში, თუმცა საბოლოოდ პოსტი კახაბერ გულედანმა ჩაიბარა, ხოლო სუს-ის უფროსის თანამდებობა - პარლამენტარმა ანრი ოხანაშვილმა. საკანონმდებლო ორგანოდან კიდევ ერთმა დეპუტატმა - პაატა სალიამ გადაინაცვლა მთავრობაში და იუსტიციის მინისტრი გახდა

ცვლილებებია აჭარაშიც - 4 აპრილის დილას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ საზოგადოებამ სოციალური ქსელით გაიგო. იმავე დღეს მიხეილ ყაველაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მოქმედი დირექტორის სულხან თამაზაშვილის კანდიდატურა წარადგინა. ასევე, თანამდებობა დატოვა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გრიგოლ ბესელიამ, მისი ადგილი კი გიორგი ბუხრაშვილმა დაიკავა.

*რას უკავშირდება „ოცნების“ გუნდში საკადრო ცვლილებები? რა ვითარებაა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და მსოფლიო ავანსცენაზე? - ამ საკითხებზე „აჭარასთან“ ექსკლუზიურად პოლიტოლოგი, დოქტორი **სოსო მანჯავიძე** საუბრობს.*

- ბატონო სოსო, თუ შეიძლება, საუბარი დავიწყოთ ქვეყანაში განხორციელებული საკადრო ცვლილებებით. რას ემსახურება „ქართული ოცნების“ ეს უეცარი გადაწყვეტილებები?

- ჯერჯერობით, საზოგადოების ფართო წრეებისთვის გაუგებარია ეს ცვლილებები. სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცი, რა მოხდა და რა უნდა მოხდეს, აქედან გამომდინარე, ჩემი კომენტარიც არ იქნება მთლად საგნობრივი. მეშინია, არ დავემსგავსო ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს, რომლებიც ქუჩიდან ყურით მოთრეულ ჭორებს ეყრდნობიან და ისე საუბრობენ რაღაც შეთქმულების თეორიებზე. რაც შეეხება თორნიკე რიყვაძის უეცარ გადადგომას, ის 7 წელი იყო რეგიონის სათავეში და, ალბათ, დაგროვდა მის მიმართ გარკვეული კითხვები. შესაძლებელია, იყო ქვედინებები, რომლებიც არ აფიშირდება პოლიტიკური თვალსაზრისით. ასევე, არსებობს ფავორიტარიზმი, - ხელისუფლებაში მყოფი გავლენიანი პირი ცდილობს, საკუთარი „პროტეჟე“ დანიშნოს ამა თუ იმ თანამდებობაზე. როდესაც ეს პირი შეიცვლება ან მისი ფავორიტი ვერ გაამართლებს, ხდება მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება. ყველაფერ ამას, ცხადია, ზოგადად ვლაპარაკობ. გარდა ამისა, არსებობს სხვა მიზეზებიც, თუმცა უფრო მგონია, რომ ყველა ამ ცვლილებას აქვს ობიექტური საფუძველი, ვგულისხმობ გარკვეულ საფრთხეებს, კერძოდ, მოსალოდნელ დესტაბილიზაციას. აჭარის შემთხვევაში, სწორედ ეს მიმაჩნია ხელჩასავლებად. როდესაც პოლიციის მოქმედი უფროსი გადადის რეგიონის მენეჯერად, რა თქმა უნდა, გიჩნდება მსგავსი აზრი. შესაძლებელია, უკვე აქვთ საფრთხეების შესახებ ინფორმაცია და თამაზაშვილის დანიშვნა უკავშირდებოდეს პრევენციას... აქვე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს ზოგადი საუბარია.

- როგორ დაახასიათებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით ეგრეთ წოდებულ წულუკიანის კომისიაზე, რომელიც შეიქმნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების არაკონსტიტუციურად გამოსაცხადებლად?

- შეგახსენებთ, რომ მე 2012 წლიდან მოვითხოვ ამ დანაშაულებრივი პოლიტიკური პარტიის აკრძალვას. თავის დროზე ორგანიზაციაც კი ჩამოვაყალიბე მიზნის მისაღწევად. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს არ არის პოლიტიკური პარტია, იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედი აგენტურაა, რომელიც ხელისუფლებაში მოიყვანა მარგინალურმა დანაშაულებრივმა ძალებმა... შედეგი აშკარაა. მიუხედავად ამ აგენტურული ქსელის და მისი თავკაცების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების მთელი ნუსხისა (სახელმწიფო ტეროორი, დარბევები, ბიზნესის უკანონო წართმევები, ეგზეკუციები, გაყალბებული არჩევნები), 2008 წლის სრულიად სამარცხვინო და მოღალატეობრივი ომის შედეგად ტერიტორიების დაკარგვაც კი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგანი გახდა. ბევრი ადამიანის კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულება ამ პარტიის და მისი ლიდერის მიმართ საგონებელში გვაგდებს. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ომსაც კი გაამართლებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმართულ სხვა არაადეკვატურ პროცესებთან ერთად. იმ დროს რაც ხდებოდა, ტელევიზიით ვუყურებდით, ყველაფერი სახეზე იყო - სააკაშვილის ის სამარცხვინო ქცევაც და... საოცარია, ესეც არ გახდა საკმარისი საფუძველი, რომ ჩვენს ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებს გასჩენოდათ პროტესტის გრძნობა. ამ არჩევნებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა სატელიტმა პარტიებმა ლამის 400 ათას ხმაზე მეტი მიიღეს.

- რითი ხსნით ასეთ ერთგულებას?

- გასაგებია, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს კლასტერი, რომელიც შეუვალია ზნეობრივი კრიტერიუმების მიმართ - რაც უნდა გააკეთოს სააკაშვილმა (რომელი ერთი ჩამოვთვალო მისი ქცევიდან - პოლიგამიაზე და ჰარამხანაზე აღარაფერს ვამბობ, მოქმედი ცოლის პირობებში), ის მაინც რჩება თავისი მომხრეების კერპად... და სანამ ეს პოლიტიკური ცენტრი არსებობს, მისი წევრები მოქმედებენ როგორც დივერსანტები. არ უხარიათ ქვეყნის წარმატება, სასიკეთო ცვლილებები... არა მხოლოდ არ უხარიათ, სძულთ ყველა და ყველაფერი ჩვენ ირგვლივ. თანაც, აქტიურად მოქმედებენ ქვეყანაში ნეგატიური პროცესების გასაღვივებლად. ამისთვის უცხოეთში დარბიან და ყველა ხერხს იყენებენ საქართველოს გასანადგურებლად, მისი პოლიტიკური იმიჯის დასამახინჯებლად. აქვე შეგახსენებთ ჩემთვის გამოგნებელ ფაქტს: არჩევნებში, საზღვარგარეთ, ყველა საარჩევნო უბანზე გაიმარჯვა ნიკოლოზ გვარამიას პარტიამ. ეს ყველაფერი აშკარად მიუთითებს საზოგადოებაში არსებულ მძიმე ფსიქიკურ დაავადებაზე. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაარსებული ბოროტების ცენტრი შენარჩუნდა საქართველოში და მას პროპაგანდას უწევს სამი ტელევიზია, რომლებიც ფინანსდება „დიფ სთეითის“ მიერ. ყველა ამ მავნებლის ჩამოსაშორებლად იყო აუცილებელი კომისიის შექმნა, რომელიც სააკაშვილზე გამოიტანს, რა ხდებოდა იმ პერიოდში ქვეყანაში. ამ ფაქტებს ბრმაც კი დაინახავს, მაგრამ „ამათ“ გონება დაბნელებული აქვთ და ვერაფერს ხედავენ. ისინი არ კითხულობენ, არც უსმენენ კომისიის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, ხოლო ის მცირე რაოდენობა, ვინც მაინც უსმენს, სულ სხვა ასპექტებზე აკეთებს აქცენტს, მაგალითად, თეა წულუკიანის მიმართ სიძულვილზე.

- მათ შორის ხომ არიან განათლებული ადამიანები, ისინი რატომ ვერ აფასებენ ფაქტებს სწორად?

- ეს სულ სხვაა, ესენი ტოტალიტარულ სექტად ჩამოყალიბდნენ, ხოლო როდესაც სექტა მასობრივ სახეს იღებს, უკვე საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ჩვენი, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობა“, თავისი ტელევიზიებითურთ, უნდა აიკრძალოს. იმ ადამიანებსაც უნდა აეკრძალოთ პოლიტიკური საქმიანობა, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ამ პარტიის ხელმძღვანელობასთან.

- ტელევიზიების დახურვა გამოიწვევს საზოგადოების პროტესტს, ისედაც არის საუბრები, რომ თავისუფალ პრესას ავიწროებენ...

- ეს არ არის თავისუფალი პრესა, მათი ტელევიზიები წამლავენ საზოგადოების სენსიტიურ ნაწილს. ილუზორული დემოკრატიის სამსხვერპლოზე არ შეიძლება მივიტანოთ ქვეყნის და ჩვენი შვილების მომავალი. ვხედავთ ზომბებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და ეს ზომბირებული ადამიანები მოქმედებენ საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად. ამ ზომბებს ტვინში გაჭედილი აქვთ სრულიად აბსურდული ნარატივი, რომელიც რეალობასთან შეხებაში არ არის, შეპყრობილები არიან...

- სხვა პარტიებს რაც შეეხება, ხაზარაძის და ჯაფარიძის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე...

- რომელია პოლიტიკოსი? ხაზარაძე ვერ დარჩება პოლიტიკაში... თავად განსაზღვრეთ, რას აკეთებენ, უარს ამბობენ პარლამენტზე, არ ცნობენ მთავრობას, სრულიად აბსურდულ თვალსაზრისებს იყენებენ ამ არაადეკვატური ქცევის გასამართლებლად. პარლამენტში რომც შესულიყვნენ, მათგან ყოველგვარი კონსტრუქციული ქმედება გამორიცხულია, ორიენტირებულნი არიან ნგრევაზე. პატრონებმა პოლიტიკურ ამოცანად დაუსახეს, რომ საქართველოში უნდა იყოს დესტაბილიზაცია. ამას გარკვეული ძალების გეოპოლიტიკური მიზნები უდევს საფუძვლად. არ სურთ, ჩვენი ქვეყანა იქცეს სამშვიდობო ზონად. მოგეხსენებათ, უკვე მიმდინარეობს ანაკლიის პორტის ირგვლივ სატრანსპორტო ჰაბის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის მეშვეობითაც ჩინეთი განახორციელებს შორს მიმავალ ფინანსურ-კომერციულ პროცესებს რუსეთის და სხვა მეზობლების პრეტენზიებისგან დამოუკიდებლად. ეს არის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირებების რეალური საფუძველი.

- ამ დაპირისპირებებს არჩევნების გაყალბებით ხსნიან...

- ეს ჩვეულებრივი სიგიჟეა, პოლიტიკური „შაბაშნიკები“ არიან და რაც შეუკვეთეს, იმას აკეთებენ. ხომ გახსოვთ, არჩევნების შემდეგ ხუთ დღეს ხმას ვერ იღებდნენ. როგორ უნდა ეთქვათ, გაყალბდაო, როდესაც კომისიების ნახევარზე მეტი მათი წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული და ყოველმა მათგანმა ხელი მოაწერა ოქმებს. ნაცმედიის საშუალებით ისე გამოთაყვანდა ხალხი, „გაჟონვის“ შესახებ მოგონილ აბსურდსაც კი იჯერებენ. ვიმეორებ, მათი ხალხი იჯდა საარჩევნო უბნებში, მათი კარნახით დამონტაჟდა ხმის დამთვლელი ელექტრონული სისტემა, რომელიც ყველაზე ობიექტურად ითვლება დედამიწაზე, თან ორმაგი გადათვლა იყო. არც ის დაგავიწყდეთ, რომ დესანტი ჰყავდათ გადმოსხმული ევროკავშირიდან, მგონი - 1800 ადამიანი, მთელი ჯარი შეყარეს... ვერც ერთმა ვერ აღმოაჩინა სერიოზული დარღვევა, გარდა იმისა, რომ სამკაულებასხმული ქალი დაჟინებით უყურებდა ბიულეტენს და... გაჟონაო.

- როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა „მეგობარ აქტზე“ ტრამპის ხელმოწერა?

- სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტში უკვე გაიარა ამ აქტმა, საქართველოსთან დაკავშირებულმა ორპარტიულმა კანონპროექტმა. მოგეხსენებათ, მისი ტექსტი მოიცავს „ქართული ოცნების“ პოლიტიკის საწინააღმდეგო ზომებს და სანქციების მექანიზმს. როდესაც იგი გაივლის სათანადო საკანონმდებლო პროცედურებს, შემდეგ პრეზიდენტს აქვს მასზე ვეტოს დადების უფლება, გააკეთებს თუ არა ამას ტრამპი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიშლება პოლიტიკური პასიანსი. ახლა, როდესაც ტრამპმა მსოფლიოს გამოუცხადა სატარიფო ომი, რაღაც ახალი სანქციების შემოღება საქართველოს მიმართ, უბრალოდ, სასაცილო იქნება. აბსოლუტურად არარელევანტურია ახლა ამაზე ლაპარაკი. რა „მეგობარი აქტი“ - აგერ კანადას, მექსიკას და მთელ ევროპას აუწია სავაჭრო პროცენტები.

- ამდენი ხანია, მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე საუბრები, თუმცა შედეგი არ ჩანს...

- არც გამოჩნდება, რუსეთი არ შეაჩერებს შეტევას, რადგან ახლა აქვს უდავო სამხედრო უპირატესობა, რასაც ბოლომდე გამოიყენებს. პუტინი ელოდება, რომ უკრაინის ფრონტი ჩამოიშლება, რასაც შიდა დესტაბილიზაცია მოჰყვება. იქ ჯერ კიდევ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობს. რუსეთის გენერალიტეტის ამოცანაა, მაქსიმალურად მცირე ტერიტორიები დარჩეს უკრაინას და არ დაუტოვოს ზღვაზე გასასვლელი. ყველამ იცის, რომ ახალ უკრაინაზე რუსეთის გავლენა ვერ გავრცელდება და მას მაქსიმალურად შეაიარაღებენ ევროპის ქვეყნები, რათა დაუპირისპირონ ჩრდილოური იმპერიას. მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ ელიტას მოსვენებას უკარგავს კარპატებთან მდებარე ველი, საიდანაც ძალიან ადვილია რუსეთში შეჭრა. ეს გზა გამოიყენა ნაპოლეონმაც და ჰიტლერმაც. აქედან გამომდინარე, პუტინი არ გაჩერდება, სანამ არ მიიღებს დაცულ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას. რაც შეეხება ევროპელებს, რომლებმაც უკვე დაიწყეს სამხედრო მობილიზაცია, სრულიად საპირისპირო მოსაზრებები აქვთ. მათ სჭირდებათ უკრაინა, როგორც ფორპოსტი რუსეთის წინააღმდეგ. ევროპის წარმოდგენაში რუსეთი ან უნდა დაიშალოს, რათა გლობალისტებს წვდომა ჰქონდეთ ამ ქვეყნის უმდიდრეს რესურსებზე, ან კრემლში ისეთი რეჟიმი ჩამოყალიბდეს, რომელიც მათთვის იაფს და ხელმისაწვდომს გახდის წიაღისეულს... ცხადია, ამას უამრავი სხვა ასპექტიც აქვს, მათ შორის, ჩინეთის, ისლამური სამყაროს თუ თურქეთის ფაქტორიც მოქმედებს, ანუ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ აქ ძალიან ბევრი ძალაა ჩართული.

- მათ შორის აშშ-ის ახალი ლიდერიც?

- რა თქმა უნდა. ტრამპი მაქსიმალურად ეცდება, მოელაპარაკოს პუტინს. ევროპა, ფაქტობრივად, ტრამპის მოწინააღმდეგეების პლაცდარმად იქცა. შესაბამისად, აშშ-ის პრეზიდენტისთვის ევროპა უფრო დიდი მტერია, ვიდრე რუსეთი. გაიხსენეთ, ევროპისთვის დამანგრეველი ტარიფები რომ დააწესა. თავის მხრივ, პუტინიც ცდილობს, დაალაგოს ურთიერთობები ტრამპთან. ეს ჩანს მის ბოლო გამოსვლაში, სადაც აყოერებს, რომ მზად არის, ამერიკულ კომპანიებს მისცეს რუსეთში მუშაობის უფლება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების თვალსაზრისით თუ უკრაინის აქტივების გამოყენების კუთხით, ანუ ამ ორი ბუმბერაზი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში მათი ინტერესები შეიძლება დაემთხვეს. თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ბევრი ცვლადისგან შედგება ეს სქემა და რა დროს რა ამოვარდება, რა შეიცვლება, პროგნოზირება ძალიან რთულია.

> ***„2012 წლიდან მოვითხოვ ამ დანაშაულებრივი პოლიტიკური პარტიის აკრძალვას. თავის დროზე ორგანიზაციაც კი ჩამოვაყალიბე მიზნის მისაღწევად. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს არ არის პოლიტიკური პარტია, იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედი აგენტურაა, რომელიც ხელისუფლებაში მოიყვანა მარგინალურმა დანაშაულებრივმა ძალებმა...***

„ტრამპის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ჩინეთთან ურთიერთობის საკითხს დაეთმობა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

რუსეთ-აშშ-ის ბოლოდროინდელმა მოლაპარაკებებმა რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით მრავალი კითხვა გააჩინა, მათ შორის უმთავრესია, რეალურად სურს თუ არა რუსეთს ომის დასრულება სამართლიანი მშვიდობის პირობებით. ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს. არსებულმა რეალობამ ცხადყო, რომ პუტინის რუსეთი ანგრევს მსოფლიო წესრიგს (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ ჩამოყალიბდა) და საფრთხეს უქმნის ქვეყნების სუვერენიტეტს. ამ მხრივ პირველი მსხვერპლი საქართველო, მოლდოვა და უკრაინაა

ექსპერტთა აზრით, სწორედ უკრაინაში იტესტება დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ აშშ-უკრაინის და აშშ-რუსეთის კონსულტაციები ომის დასრულებასთან დაკავშირებით. სწორედ ეს ომი განაპირობებს ევროპის და მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალს... ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ***ლაშა ხოზრევანიძე.***

- საერთაშორისო არენაზე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა რუსეთ-უკრაინის ომი. აშშ აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ომის დასრულებასთან დაკავშირებით. რამდენად დაინტერესებულია რუსეთი ომის დასრულებით?

- უპირველესად, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ მოწვევისათვის, უღრმესი პატივისცემა გამოვხატო დიდი ისტორიის მქონე თქვენი რედაქციისა და თანამშრომლების მიმართ და მოგილოცოთ გამოცემის 104 წლის იუბილე! დავუბრუნდები თქვენს შეკითხვას - 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკის მიმმხილველებში ყოველდღიურ ინტერესს იწვევს რუსეთ-უკრაინის ომი. აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია, ვფიქრობ, წარმოდგენილი იყო როგორც კონფლიქტის მხარე და არა - მოდერატორი, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კი, მის კაბინეტთან ერთად, ინაუგურაციის შემდეგ, ლეგიტიმაციის პირველი დღეებიდანვე ცდილობს, მოიგოს საერთაშორისო ასპარეზზე ლიდერის მანტია და უხელმძღვანელოს (უფრო ზუსტი შესატყვისი იქნება თუ ვიტყვით, რომ აშშ-ის პირობების კარნახით წარმართოს) რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებები. აშშ-მა საუდის არაბეთში უკრაინასა და რუსეთთან ცალ-ცალკე მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ თითოეულ ქვეყანასთან მიაღწია შეთანხმებას შავ ზღვაში ძალის გამოყენების აკრძალვისა და ორივე ქვეყანაში ენერგეტიკულ ობიექტებზე დარტყმების შეჩერების შესახებ, თუმცა ფაქტია, მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე კვლავაც უამრავი დაბრკოლება რჩება. ეს შეთანხმებები, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები შედეგია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ორთვიანი მცდელობებისა, ხელი შეუწყოს ომის დასრულებას. ბევრი რამ ჯერაც გაუგებარია, მათ შორის ის, თუ რამდენად წავა მოსკოვი ცეცხლის სრული შეწყვეტის ან სამშვიდობო შეთანხმებისკენ, თუ უკრაინა მის ყველა პირობას არ დათანხმდება. მოლაპარაკების მაგიდაზე მიმდინარე პრობლემური საკითხები შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: 1. „შავი ზღვის აკვატორიის უსაფრთხოების ქოლგის უზრუნველყოფა ორივე მხარის მიერ“ - შეერთებული შტატები და რუსეთი მიანიშნებდნენ, რომ მოლაპარაკებების ამ რაუნდის მთავარი მიზანი იყო შავ ზღვაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რაც საშუალებას მისცემს გემებს, თავისუფლად იმოძრაონ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას და, ამავე დროს, პირველი ნაბიჯი იქნება უფრო ფართო ზავისკენ. შავი ზღვის სანაპიროები რუსეთსაც აქვს და უკრაინასაც და ის უკრაინული და რუსული მარცვლეულის ექსპორტის მთავარი გამტარია; 2. „ენერგოობიექტებისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ - როგორც მოგეხსენებათ, 18 მარტს გაიმართა სატელეფონო საუბარი ვლადიმერ პუტინსა და დონალდ ტრამპს შორის. თეთრი სახლისა და კრემლის მიერ გამოქვეყნებული დეტალები საუბრის შესახებ შეიცავდა მცირე, მაგრამ არსებით განსხვავებას. აშშ-ის განცხადების თანახმად, ლიდერები „შეთანხმდნენ, რომ მოძრაობა მშვიდობისკენ დაიწყება ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ ცეცხლის შეწყვეტით“, ხოლო რუსეთის განცხადებაში აღწერილია ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურა-

ზე თავდასხმების შეჩერება. კრემლმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პუტინმა მოიწონა ინიციატივა და „დაუყოვნებლივ მისცა რუს სამხედროებს შესაბამისი ბრძანება“, მაგრამ უკრაინამ რუსეთი დაადანაშაულა ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის ენერგეტიკულ ობიექტებზე თავდასხმების გაგრძელებაში. 25 მარტს გავრცელებულ განცხადებებში თეთრი სახლი არ ახსენებს კონკრეტულად ინფრასტრუქტურას. ნათქვამია, რომ ქვეყნები „შეთანხმდნენ, შეიმუშაონ ზომები რუსეთისა

> ***„დასავლური გამოცემები აქტიურად წერენ, რომ 2025 წლის აპრილის ბოლოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში დაგეგმილია მნიშვნელოვანი შეხვედრები რუსეთ-უკრაინის ომის თაობაზე, რომლის შემდგომაც სავარაუდოა, რომ აშშ დაიწყებს სრულიად ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას ამ კონფლიქტის მიმართ***

და უკრაინის ენერგეტიკულ ობიექტებზე დარტყმების აკრძალვის [შეთანხმებების] განსახორციელებლად“; 3. გარიგება ე. წ. იშვიათი მინერალების შესახებ - 25 მარტს ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა შესთავაზა მინერალური რესურსების შეთანხმების ყოვლისმომცველი ახალი ვერსია, რომელიც თვეების განმავლობაში განიხილებოდა. 24 მარტს ტრამპმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი და კიევი „მალე“ მოაწერენ ხელს შეთანხმებას უკრაინის იშვიათი წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების ერთობლივი განვითარების შესახებ, რაც, აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, დაეხმარება უკრაინას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და რუსეთის უკრაინასთან ომის მოგვარების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. შეთანხმების ხელმოწერა მოსალოდნელი იყო 28 თებერვალს, როდესაც ზელენსკი თეთრ სახლს ეწვია, თუმცა ის შეხვედრა ოვალურ კაბინეტში უპრეცედენტო კონფლიქტით დასრულდა მას შემდეგ, რაც ტრამპმა და ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. დ. ვენსმა უკრაინის პრეზიდენტი ჟურნალისტების წინაშე გააკრიტიკეს. მას შემდეგ დაძაბულობამ იკლო და იშვიათ წიაღისეულზე შეთანხმება შეიძლება უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სოლიდარობის მანიშნებელი იყოს. უახლოეს პერიოდში უკვე ნათლად გამოჩნდა, რამდენად რეალურადაა დაინტერესებული რუსეთი მოლაპარაკებებით, თუნდაც მისთვის სასარგებლო პირობებით. უახლოესი ინფორმაციით (რომელიც თქვენს კითხვაზე ნაწილობრივ მაძლევს პასუხის გაცემის შესაძლებლობას), 2025 წლის 4 აპრილს, საღამოს, ბალისტიკურ რაკეტასთან დაკავშირებული საფრთხის გამო, საჰაერო განგაში უკრაინაში, კერძოდ კი კრივოი როგში 18:50 საათზე გამოცხადდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მიიღეს ინფორმაცია რაკეტით თავდასხმის შესახებ (რუსული ბალისტიკური რაკეტით თავდასხმის შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა, რომელთაგან ცხრა ბავშვია), ასევე, 6 აპრილის გამთენიისას, რუსეთმა კიევზე იერიში მიიტანა ბალისტიკური რაკეტებით. აფეთქებები ქალაქის რამდენიმე რაიონში მოხდა. ეს ყველაფერი ნამდვილად არ მიუთითებს რუსეთის მხრიდან ომის დასრულებისთვის მზაობაზე. დასავლური გამოცემები აქტიურად წერენ, რომ 2025 წლის აპრილის ბოლოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში დაგეგმილია მნიშვნელოვანი შეხვედრები რუსეთ-უკრაინის ომის თაობაზე, რომლის შემდგომაც სავარაუდოა, რომ აშშ დაიწყებს სრულიად ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას ამ კონფლიქტის მიმართ.

- „მშვიდობა აგრესორის პირობებით კაპიტულაციას ნიშნავს და მხოლოდ წააახალისებს ამჟამინდელ და მომავალ აგრესორს“ - განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა პაველმა. ამ მხრივ ევროკავშირი რამდენად ერთიანია უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით?

- ევროკავშირს, კონფლიქტის რეგულაციის თვალსაზრისით რეალური და საგრძნობი შედეგის მისაღწევად, ჩემი აზრით, მოუწევს უფრო ქმედითი და თვალშისაცემი ნაბიჯების გადადგმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი არ არის კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანიზაცია და ის უფრო პოლიტიკური ინსტიტუციაა, ვფიქრობ, აშშ-ის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი აიძულებს მას, უფრო ქმედითად იყოს ჩართული კონფლიქტის რეგულაციის ნაწილში, ვიდრე აქამდე, რაშიც, ბუნებრივია, არა მხოლოდ მატერიალური დახმარებით უკრაინის უზრუნველყოფას ვგულისხმობ, არამედ შესაძლოა, წევრი ქვეყნების მხრიდან სამხედრო-სადაზვერვო სფეროში დახმარების ხვედრითი წილიც გაიზარდოს.

- რა მთავარი გამოწვევები ელის ტრამპს საგარეო პოლიტიკაში?

- ვფიქრობ, ტრამპის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ჩინეთთან ურთიერთობის საკითხს, ასევე, სავსებით მოსალოდნელია, ამერიკამ ინტერესი გაზარდოს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი, რაც ამერიკის უახლესი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შეცდომად ფასდება (ვგულისხმობ ავღანეთიდან წინა პრეზიდენტის მიერ ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილებას და იქ ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანის“ „პოლიტიკურ რეინკარნაციაზე“ დათანხმებას). ბუნებრივია, ირანსა და რუსეთთან აშშ-ის დიპლომატიური ქიშპობა არახალია და განსაკუთრებით საინტერესო იქნება დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებები რუსეთის ფედერაციასა და ირანთან მიმართებაში.

- რამდენად მოსალოდნელია, ევროკავშირმა ნატოს მსგავსი ორგანიზაცია შექმნას? ასევე, რეალურად, ევროკავშირი რამდენად არის მზად, ამერიკის მხარდაჭერის გარეშე აღუდგეს რუსეთს და ამ ყველაფრის ფონზე იბადება თუ არა ევროპის ახალი არქიტექტურა?

- დაახლოებით ორი წლის წინ ევროკავშირში გაჩნდა იდეა, რომ უპრიანი იქნებოდა, ევროკავშირმა, როგორც პოლიტიკურმა ინსტიტუციამ, სამომავლოდ იტვირთოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანიზაციის ფუნქციები, რაც მთლიანად შეცვლიდა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურას. ამისთვის, ბუნებრივია, ინსტიტუტის წესდების გადახედვა, წევრი სახელმწიფოების მხრიდან კონსენსუსი და მათი პროცესში მონაწილეობის ხვედრითი წილის განსაზღვრაზე შეთანხმება იქნება აუცილებელი (როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე, მატერიალური ბაზის შესაქმნელად და ბიუროკრატიის უზრუნველსაყოფად). ეს ყველაფერი მე ამ ეტაპზე, აშშ-ის ჩართულობის გარეშე, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ასევე, ნაკლებად მგონია, რომ 2025-2028 წლებში რაიმე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ევროკავშირის ფუნქციებში გლობალური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მექანიზმების დამატების კუთხით.

- გვერდს ვერ ავუვლით ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს: ასადის რეჟიმი დაემხო, ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა აშშ-მა და ისრაელმა საჰაერო იერიშები მიიტანონ ირანზე...

- ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსურია დღევანდელ გეოპოლიტიკურ სამყაროში. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ქვეყნები ერთამანეთთან, ძირითადად, დაპირისპირებულნი არიან და დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია. 2015 წლის 14 ივლისს ირანსა და გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს (ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ) შორის მიღწეული იქნა ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (JCPOA), რაც იმედის მომცემი იყო, თუმცა მოგვიანებით გაქარწყლდა. დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას მოჰყვა ახალი კითხვები აშშ-ირანის მომავალი ურთიერთობების შესახებ. ძალზე საინტერესოა მისი საგარეო პოლიტიკური კურსისთვის თვალის დევნება და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ უფრო გაგვიადვილდება სიღრმისეული ანალიზის გაკეთება. წელს აშშ-ირანს შორის ურთიერთობების იმ დონემდე გაუარესება, რომ სამხედრო დაპირისპირებამდე მივიდეს საქმე, ნაკლებად სავარაუდოა.

- საინტერესოა, რა პოზიციები უკავიათ ევროპის იმ წამყვან სახელმწიფოებს, რომლებიც დღეს ევროპული პოლიტიკის მთავარ არქიტექტურას ქმნიან? გვულისხმობ საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას...

- მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ლიდერი, აქტიურად ჩაერთო სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ფაქტია, ქმედითი გახდა ევროპის ცენტრალური ქვეყნების ნაბიჯები რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში. საინტერესო შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 4 აპრილს - ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები დევიდ ლამი და ჟან-ნოელ ბარო ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში შეხვდნენ ერთმანეთს. ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთი უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების ჩაშლაში დაადანაშაულეს და მოსკოვზე ზეწოლა აუცილებლობად გამოაცხადეს. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მოსკოვმა „პასუხი უნდა გასცეს შეერთებულ შტატებს“, რომელმაც, როგორც შუამავალმა, „დიდი ძალისხმევა გაიღო“ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისთვის (ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო „როიტერსმა“ გაავრცელა). ასევე, საინტერესო ინფორმაციაა ისიც, რომ მიმდინარე წლის 3-4 აპრილს ბრიუსელში გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგაც ჟურნალისტებთან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა განაცხადა, რომ პუტინის საუბარი მოლაპარაკებებზე „სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი დაპირებები“.

- საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მეზობელ თურქეთში მიმდინარე პროცესებს. რა ხდება თურქეთის შიდა სამზარეულოში და უდგას თუ არა ერდოღანის ხელისუფლებას პოლიტიკური კრიზისი?

- საინტერესო პროცესები ვითარდება თურქეთში. მინდა, ერთი საინტერესო ფაქტი გავახსენო ჩვენს მკითხველს: წინა საუკუნის ბოლოს სტამბოლის პოპულარულ მერს თანამდებობა ჩამოართვეს და დაუპატიმრეს ბრალდებით, რომელსაც მისი მხარდამჭერები პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევდნენ. ის პოლიტიკას მალევე დაუბრუნდა და შემდეგ იქცა ლიდერად, რომელიც თანამედროვე თურქეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დროით მართავს ქვეყანას. სტამბოლის ეს ყოფილი მერი რეჯეპ ტაიფ ერდოღანია, რომელიც დიდი ხანია, თურქეთის პრეზიდენტია. ერთგვარი სიმეტრიაა - ეს პროტესტი სტამბოლის პოპულარული მერის დაპატიმრებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციები სტამბოლში, ანკარაში, ქვეყნის სხვა ქალაქებსა და პროვინციებში 19 მარტს დაიწყო, როდესაც სტამბოლის მერი ეკრემ იმამოღლუ დააკავეს და რამდენიმე ბრალდება წაუყენეს, მათ შორის კორუფცია და ტერორისტული ჯგუფების ხელშეწყობა. ეს ყველაზე დიდი და ფართო პროტესტია 2013 წლის შემდეგ. მაშინ „გეზის პარკის“ საპროტესტო მოძრაობა რამდენიმე კვირის განმავლობაში მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში. საპროტესტო გამოსვლების დაწყების შემდეგ დაკავებულია 1500-მდე ადამიანი. ზოგ მათგანს ერდოღანისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფა ედება ბრალად. ასევე, დაპატიმრებულია რამდენიმე ჟურნალისტი, „ბი-ბი-სის“ რეპორტიორი კი ქვეყნიდან გააძევეს მას შემდეგ, რაც აცნობეს, რომ ის წარმოადგენდა „საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“, მაგრამ მთავარი მიზეზი, რის გამოც მიმდინარე კრიზისმა შეიძლება კიდევ უფრო დიდი ცვლილებები მოუტანოს ერდოღანს და თურქეთის დემოკრატიას, არის შეცვლილი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ასევე, ინფლაცია და მზარდი საპროტესტო ტალღა. საინტერესო იქნება თურქეთში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება.

ყოველდღიური საპროტესტო აქციები ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

ქვეყანაში მიმდინარე უწყვეტი საპროტესტო ტალღის და პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, აკადემიკოსი ლადო პაპავა საქართველოს ეკონომიკაში ვერ ხედავს საგანგაშო მოვლენებს

მისი თქმით, „თუ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ სიტუაციას, დღეს საქართველოს ეკონომიკაში საგანგაშო არაფერია. დაფიქსირებულია სტაბილური ეკონომიკური ზრდა, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდიც და მსოფლიო ბანკიც ადასტურებს, რომელთა ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციით, ინფლაცია საკმაოდ ზომიერია. თუ ასე განცალკევებულად ავიღებთ ეკონომიკას, დღევანდელი გადასახედიდან რაიმე საფრთხე მოსალოდნელი არ არის, თუმცა არის გარკვეული ფაქტორები, რომელთაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. პირველი შეეხება უშუალოდ საქართველოს. კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებით ახლახან მიიღეს ევროპარლამენტის რეზოლუცია, სადაც ევროკომისიას მოუწოდებენ კონკრეტულ პირებზე სანქციების შემოღებას“.

ეკონომისტის განცხადებით, სწორედ აღნიშნული სანქციები, გვინდა თუ არა, აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე. „ჩემთვის ნებისმიერი თემა, რომელიც უკავშირდება ჩვენი ეროვნული ვალუტის - ლარის სტაბილურობას, ყოველთვის ძალიან მტკივნეულია და, ალბათ, არა მარტო ჩემთვის, არამედ ნებისმიერი მოქალაქისთვის. ჩემთვის-მეთქი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ, რომ მე ჩემს კოლეგებთან ერთად ვიდექი ლარის შემოღების სათავეებთან და ამიტომ ნებისმიერი ხელოვნური ზეწოლა, რომელიც შეიძლება აისახოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, ჩემთვის მიუღებელია.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში იმ პირთა შორის, რომელთა სანქცირება უნდა მოხდეს, მოხსენიებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა. როცა სიაში ხვდება ასეთი პირი, მარტო ქალბატონი ნათიას მიმართ არ უნდა განვიხილოთ სანქციების შემოღება, არამედ, გარკვეულწილად, ეს არის ზეწოლა ისეთ არაპოლიტიკურ ინსტიტუციაზე, როგორიც არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ანუ საქართველოს ეროვნული ბანკი. ეს შემაშფოთებელია და, ვფიქრობ, არაკორექტულიც. ქალბატონი ნათია აქამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, პრეზიდენტი სულ რამდენიმე დღის წინ გახდა და მალევე მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მოლოცვა და თანამშრომლობის განახლების მოლოდინი, ამ ვითარებაში კი მისი იმ პირთა სიაში ძალით მოხვედრა, რომლებიც სანქციებს უნდა დაექვემდებარონ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია“, - აცხადებს ექსპერტი.

ლადო პაპავასთვის მიუღებელია, ასევე, ამ სიაში „ჯორჯიან ეარვეისის“ ხელმძღვანელ თამაზ გაიაშვილის მოხვედრა: „პოლიტიკოსების სიაში მოხვედრა სხვა საკითხია, რასაც ვიღაც დაეთანხმება, ვიღაც კი არა... გარდა ამისა, დაძაბულობა ქვეყანაში, რაც გამოიხატება ყოველდღიურ საპროტესტო აქციებში, ეკონომიკაზე ახდენს უარყოფით გავლენას და ეს საფრთხეა საქართველოს ეკონომიკისთვის. ჯერჯერობით, როგორც ვთქვი, საგანგაშო არაფერია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, ყველაფერი შეიცვლება. მეორე საფრთხე

უფრო გლობალურია, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკის, არამედ საზოგადოდ, მთელი მსოფლიოს წინაშე დგას. აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საკმაოდ ინტენსიურად იღებს გადაწყვეტილებებს, ხან ამკაცრებს, მერე კი ისევ ამსუბუქებს. მისი პოლიტიკური ინსტრუმენტი მიმართულია სავაჭრო ტარიფების გაზრდისკენ მისთვის მნიშვნელოვან ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა კანადა, მექსიკა, ევროკავშირი, ჩინეთი. რა თქმა უნდა, ეს გლობალურ ცვლილებებს იწვევს. როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს მაღალ საბაჟო ტარიფს უწესებს, უნდა ველოდოთ კონტრნაბიჯებსაც. ამ შემთხვევაში, ეს მთელ მსოფლიოზე აისახება, გამოიწვევს მიწოდების გლობალურ ჯაჭვებში კიდევ ერთ, მორიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც საბოლოოდ აისახება ინფლაციის დონეზე მთელ მსოფლიოში და ცხადია - ჩვენზეც“.

ლადო პაპავა იხსენებს გასული საუკუნის 90-იან წლებსაც: „საქართველო 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გახდა იმპორტდამოკიდებული ქვეყანა. 2000-იანებში თუ იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატებოდა, ახლა მხოლოდ - 2,6-2,7-ჯერ - ანუ თანაფარდობა მცირდება, მაგრამ საქართველო მაინც რჩება იმპორტდამოკიდებულ ქვეყნად. ეს ნიშნავს, რომ თუ გლობალურად იქნება მაღალი ინფლაცია, საქართველოში, საქონლის იმპორტთან ერთად, ამ ინფლაციის იმპორტიც მოხდება. ეს ცნობილი ფენომენია და ამ თვალსაზრისით საქართველოც დაცულად ვერ ჩაითვლება. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკა ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას.

იმავდროულად, იმედისმომცემია ინვესტიციები. მთავრობის აქტიურობით მოხერხდა სხვადასხვა პოტენციურ ინვესტორთან ურთიერთობის დამყარება და ახლა არაბული სამყაროდან მოსალოდნელია, წამოვიდეს 6-მილიარდიანი ინვესტიცია. თუნდაც ერთი ასეთი მსხვილმასშტაბიანი ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან დადებითად აისახება - ჯერ ერთი, იქნება სიგნალი სხვა ინვესტორებისთვის, რომ საქართველოში შეიძლება ინვესტიციების განხორციელება, მეორე მხრივ, ეს არის დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინება, რასაც ექნება რისკების დამცავი ფუნქცია, რადგან გაიზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება ქვეყნის ბაზარზე.

კითხვაზე, არაბული ინვესტიციები რა ამინდს შექმნის ქვეყანაში, ლადო პაპავა პასუხობს: „ძალიან კარგად ვიცით - დასავლური კომპანიების ინვესტიციები, ძირითადად, იმ სეგმენტში იყო, ესტონური მოდელის მიხედვით, მოგების რეინვესტირებას გადასახადისგან რომ ათავისუფლებს. რაც შეეხება არაბულ ინვესტიციას, მე მაფიქრებს არა ის, შემოვა თუ არა, არამედ ის, რომ მერჩივნა, ყოფილიყო ისეთი ინვესტიცია, რომელიც ეკონომიკის რეალურ სექტორს განავითარებდა.

წარმოიდგინეთ, ის ინვესტიცია, რომელიც ვახსენეთ, პრაქტიკულად, არის საცხოვრებელი თუ დასასვენებელი კომპლექსების, ტურისტული სექტორის განვითარება. ცხადია, ამ კომპლექსს რომ ააშენებ, ეკონომიკა იზრდება იმ თვალსაზრისით, რომ მშენებლობა ეკონომიკის რეალური სექტორის დარგია, მაგრამ ეს ხომ წარმოება არ არის. ამიტომ, ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, ბევრად უკეთესი იქნება, შემოვიდეს ისეთი ინვესტიცია, რომლის შედეგადაც შეიქმნება ახალი საწარმოო სიმძლავრეები, დასაქმდება მოსახლეობა. სამწუხაროდ, ეს ინვესტიცია ასეთი არ არის, მაგრამ როგორც გითხარით, მაინც აქვს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი: პოზიტიური სიგნალია, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო კარგია და შესაძლოა, სხვა ინვესტორიც შემოვიდეს. მეორე მხრივ, ეს არის უცხოური ვალუტის შემოდინება, რომელიც ამ რთულ ვითარებაში დადებითად აისახება ეროვნული ვალუტის სტაბილურობასა და ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების ზრდის შესაძლებლობებზეც.

აკადემიკოსი ამბობს, რომ „დღეს არჩევნების შედეგების აღიარება-არაღიარების თემა, სამწუხაროდ, რწმენის კატეგორიაში გადაიზარდა... „არის პირთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელსაც მიაჩნია, რომ არჩევნები გაყალბდა. თუმცა შესაბამისი მტკიცებულებები, ფაქტობრივად, არ იკვეთება. არის მეორე ჯგუფი, რომელსაც მიაჩნია, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. ეუთო/ოდირის დასკვნაც არსებობს, რომელიც ლაპარაკობს ხარვეზებზე, მაგრამ, პრაქტიკულად, ისეთი ხარვეზები არ არის, რის გამოც არჩევნების შედეგები არ უნდა იქნეს აღიარებული. ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, დასავლელი პარტნიორების დონეზე ჯეროვნად არ იმუშავა, რათა ეჩვენებინა, რომ ეს არჩევნები არ გაყალბებულა, მაშინ, როდესაც ოპოზიციამ წარმატებით იმუშავა და თითქმის ყველა დაარწმუნა, რომ არჩევნები გაყალბდა. ახლა თუ გამოვალთ იქიდან, რომ არჩევნები გაყალბებულია, მაშინ წნეხს, რაც მოდის დასავლეთიდან, აქვს ახსნაც და გამართლებაც. თუ დავუჯერებთ ეუთო/ოდირის დასკვნას, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, აქედან გამომდინარე, რაც დღეს დასავლეთიდან მოდის, ყველაფერი, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა“, - დასძენს იგი.

ლადო პაპავა თვლის, რომ: „მთელ მსოფლიოში ჩამოყალიბდა რთული სიტუაცია. საუბარია არა იმაზე, სინამდვილეში რა მოხდა, არამედ იმაზე, როგორი არის აღქმა... ფაქტია, სწორად აღქმის კონტექსტში მოიკოჭლებს „ოცნების“ ხელისუფლება. ისიც ფაქტია, რომ ოპოზიციაც ვერ არის არჩევნების შედეგებზე ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული. კერძოდ, ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიებიდან არჩევნების შედეგები არავინ აღიარა, მაგრამ ყველა, ერთი პარტიის გარდა, დათანხმდა, რომ ბიუჯეტიდან იმ პროპორციით მიეღო დაფინანსება, რა პროპორციითაც იქნა არჩევნების შედეგები გამოცხადებული.

ახლა ლაპარაკია ახალ არჩევნებზე, მაგრამ ვინც ამას ითხოვს, განა ხსნის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს? თანაც საუბარია ახალ არჩევნებზე და არა ვადამდელზე, რადგანაც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა იმის ირიბი აღიარებაა, რომ 2024 წლის არჩევნები ლეგიტიმური იყო. ვადამდელი არჩევნების დანიშვნას სხვა პროცედურა აქვს, ახალი არჩევნების დანიშვნას კი სხვა. არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს კონსტიტუცია, რადგან ჩვენ ერთხელ დავარღვიეთ ის და დღემდე ვიმკით იმ უბედურებას, რაც მოხდა 1990-იანი წლების დამდეგს სახელმწიფო გადატრიალების თვალსაზრისით. ამიტომ ახალი არჩევნების მოთხოვნას უნდა ჰქონდეს თავისი კონსტიტუციური საფუძველი, რომე-

> ***„მთავრობის აქტიურობით მოხერხდა სხვადასხვა პოტენციურ ინვესტორთან ურთიერთობის დამყარება და ახლა არაბული სამყაროდან მოსალოდნელია, წამოვიდეს 6-მილიარდიანი ინვესტიცია. თუნდაც ერთი ასეთი მსხვილმასშტაბიანი ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან დადებითად აისახება - ჯერ ერთი, იქნება სიგნალი სხვა ინვესტორებისთვის, რომ საქართველოში შეიძლება ინვესტიციების განხორციელება, მეორე მხრივ, ეს არის დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინება, რასაც ექნება რისკების დამცავი ფუნქცია, რადგან გაიზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება ქვეყნის ბაზარზე***

უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 383 მილიონი ლარით შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა, ბანკთაშორისი სესხების გარდა, 2025 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, 108,11 მილიონი ლარით, ანუ 0,17%-ით შემცირდა და თებერვლის ბოლოს 62,58 მილიარდი ლარი შეადგინა. სესხების წლიურმა ზრდამ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 17,43% შეადგინა.

ცენტრალური ბანკის ცნობით, ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 275,56 მილიონი ლარით, ანუ 0.78%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 383.66 მილიონი ლარით, ანუ 1,40%-ით შემცირდა.

ამასთან, ცენტრალური ბანკის მონაცემებით, რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2025 წლის თებერვლის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 10,61 მილიარდი ლარის მოცულობის სესხი, რაც წინა თვესთან შედარებით 0,24%-ით მეტია, ხოლო უცხოური ვალუტით 17,89 მილიარდი ლარის მოცულობის სესხი, რაც წინა თვის მაჩვენებელს 1,42%-ით ჩამორჩება.

ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2025 წლის თებერვლის განმავლობაში 0,39%-ით, ანუ 122,98 მილიონი ლარით გაიზარდა რეზიდენტი შინამეურნეობების სექტორის დაკრედიტების მოცულობა და თებერვლის ბოლოსათვის 32,06 მილიარდი ლარი შეადგინა.

2025 წლის თებერვლის ბოლოსათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 56,86% შეადგინა და წინა თვის ბოლო მდგომარეობასთან შედარებით 0,538 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

„კარგი იქნება, თუ შევძლებთ მტრისა და მოყვრის ერთმანეთისგან გარჩევას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეებს იზიარებდნენ შემდგომში სახელოვანი ქართველოლოგი ტარიელ ფუტკარაძე და ოთარ სურმანიძე. ისინი აჭარის მთიანეთში არიან დაბადებულ-დაფრთიანებულნი. ტარიელმა 60 წელი იცოცხლა, ოთარმა - 25. ორივემ სანიმუშო ოჯახი შექმნა. ოთარის სიყვარულის პატივსაცემად მისმა ცოლმა ეკატერინე ქაცარიძემ გვარი შეიცვალა და ახლა ყველა ***ეკატერინე სურმანიძის*** *სახელით იცნობს. იგი ოჯახზე, 1989 წლის 9 აპრილსა და შემდგომ განვითარებული მოვლენებისადმი ოთარის დამოკიდებულებაზე გვესაუბრება.*

- ქალბატონო ეკა, მოკლედ გვიამბეთ თქვენი გვარისა და ადგილის დედის შესახებ.

- წარმოშობით იმერეთიდან ვარ - ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარადან. მამა, იური ქაცარიძე, იქ დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ სასწავლებლად და სამუშაოდ თბილისში გადავიდა, დაოჯახდა და, ფაქტობრივად, არაფრისგან, დედასთან ერთად, თავდაუზოგავი შრომით შექმნა ყველაფერი. მამა ახლა 92 წლისაა და ისევ მხნედ გრძნობს თავს. მე, უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, მუშაობა თბილისში დავიწყე. ახლაც საბანკო სისტემაში ვსაქმიანობ.

- როგორ მოგაჯადოვათ მთიელმა ჭაბუკმა?

- მე და ოთარი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მეორე კურსიდან ერთად ვსწავლობდით. თავიდან ნამდვილად არ მიმიქცევია მისთვის ყურადღება, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც თავად გამოხატა ჩემ მიმართ ინტერესი, აღმოვაჩინე, რომ ძალიან კეთილი, სამართლიანი, ჭკვიანი და საოცრად მეგობრული იყო. სწორედ ამ თვისებებით მომხიბლა. ის უაღრესად შრომისმოყვარე ოჯახში იყო გაზრდილი. მამამისი - ალექსანდრე სურმანიძე შუახევის რაიონში ცნობილი პიროვნება გახლდათ.

- სიყვარულსა და სიკეთეზე დაფუძნებულ ოჯახში პირველი შვილი გაჩნდა...

- ძალიან სათუთი და საოცარი გრძნობა იყო ეს. ნინოს დაბადებით ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა სინათლე, სითბო და, ამავდროულად, პასუხისმგებლობა. ეს მანამდე არ გვქონდა განცდილი, სანამ ორნი ვიყავით. ორი წლის შემდეგ მეორე ქალიშვილის - ანას დაბადება კი ვარსკვლავის გაბრწყინება იყო იმ დროს ქვეყანაში არსებული რუხი ფერების ფონზე.

- ოთართან ურთიერთობიდან ყველაზე კეთილ მოგონებად რა გრჩებათ?

- ძალიან მიყვარდა მისი ბავშვობისდროინდელი ამბების მოსმენა, რომლებსაც საოცარი იუმორით ყვებოდა. შეეძლო, ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანი კარგ გუნებაზე დაეყენებინა და ამას ძალიან ბუნებრივად აკეთებდა. მაოცებდა მისი დამოკიდებულება ეროვნული სიწმინდეებისადმი.

- კომუნისტური რეჟიმი სასტიკად უსწორდებოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებსა და მათ თანამოაზრეებს. ოთარის ამ პროცესებში ჩართულობას ახლად შექმნილ ოჯახში როგორ შეხვდით?

- თავიდან ნამდვილად იყო შიში, რომ ეროვნულ მოძრაობაში ოთარის ასეთი დიდი დოზით ჩართულობა შეიძლებოდა მისთვის კარგად არ დამთავრებულიყო, თუმცა, ისევ და ისევ, მისი ხასიათის სიმტკიცემ, მომავლის რწმენამ და განცდამ, რომ რასაც ის იმ პერიოდში აკეთებდა, ერთადერთი სწორი გზა იყო, ამ გაურკვეველი შიშისგან გამათავისუფლა. ველარც კი წარმომედგინა, რომ თუ არა ამ გზით, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გამოეხატა და დაემტკიცებინა მას ქვეყნისთვის, როგორ უყვარდა და რარიგად ერთგული იყო.

- ტრაგიკული 9 აპრილის ღამიდან რას გაიხსენებთ?

- მძიმედ გასახსენებელია ის დღე არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ქართველისთვის. იმ ღამეს ოთარი იქ იყო... მძიმე, ავბედითი და კიდევ უფრო საშინელი იყო განთიადი. ოთარი დილასაც რომ არ გამოჩნდა, მამა წავიდა მოსაძებნად. როდესაც დაბრუნდნენ, თვალებში ვერცერთს ვერ შევხედე - შემეშინდა, რაც იქ უნდა დამენახა და ამომეკითხა. ასე უხმოდ ვისხედით ყველანი, თვალებდახრილები, ან რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის... 9 აპრილზე ბევრი ითქვა და დაიწერა უკვე, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: ეს არის დღე, როდესაც ქვეყანამ თავიდან დაიწყო თავისი დამოუკიდებლობის დღის ათვლა 21 ქართველის სიცოცხლის სანაცვლოდ. ჩვენ კი მინიმუმ, ის მაინც არ უნდა დავივიწყოთ, თუ რატომ, ვისთვის ან რისთვის მოხდა ეს ყველაფერი.

„იმ ღამეს ოთარი იქ იყო... მძიმე, ავბედითი და კიდევ უფრო საშინელი იყო განთიადი. ოთარი დილასაც რომ არ გამოჩნდა, მამა წავიდა მოსაძებნად. როდესაც დაბრუნდნენ, თვალებში ვერცერთს ვერ შევხედე - შემეშინდა, რაც იქ უნდა დამენახა და ამომეკითხა. ასე უხმოდ ვისხედით ყველანი, თვალებდახრილები, ან რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის... 9 აპრილზე ბევრი ითქვა და დაიწერა უკვე, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: ეს არის დღე, როდესაც ქვეყანამ თავიდან დაიწყო თავისი დამოუკიდებლობის დღის ათვლა 21 ქართველის სიცოცხლის სანაცვლოდ“

- 25 წლის ასაკში ხელიდან გამოგეცალათ ერთგული და მოსიყვარულე ქმარი. ორი ქალიშვილი თქვენს იმედზე დარჩა...

- მე და ოთარს საერთო სამეგობრო წრე გვყავდა. იმ მძიმე დღეებს მე მარტო, ჩემი მეგობრებისა და ოჯახის წევრების თანადგომის გარეშე, რა გადამატანინებდა?!.. მეგობრების უმრავლესობა დღემდე ჩემ გვერდითაა და, რა თქმა უნდა, ერთმანეთის იმედი გვაქვს ყოველთვის. წინა საუკუნის 90-იანი წლები ძალიან მძიმე იყო და ისევ გავიმეორებ, რომ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით - დედამის თანადგომით, ოთარის ოჯახის წევრების და ახლობლების გამხნევებით, მეგობრების სიყვარულით გადავლახე ის წლები. ყველას გვიჭირდა მაშინ, მაგრამ გავუძელით და გადავიტანეთ ის რთული პერიოდი.

- თქვენს ცხოვრებაში დაღმართი აღმართმა შეცვალა...

- ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მეკისრა - ორი შვილი მყავდა გასაზრდელი, სხვა გზა არ მქონდა, დაღმართს ვერ ჩავუყვებოდი, არ შეიძლებოდა... და ავუყევი ნელ-ნელა აღმართს. ახლაც ამ გზით მივდივარ, პასუხისმგებლობის გზით.

- ამ ეტაპზე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ?

- ძალიან მოკლედ ვიტყვი: კარგი იქნება, თუ შევძლებთ მტრისა და მოყვრის ერთმანეთისგან გარჩევას!

- ეროვნული მოძრაობის ლიდერის მეუღლეს პოლიტიკაში მოსვლის მცდელობა ან სურვილი თუ გქონიათ?

- არასდროს გამჩენია მსგავსი სურვილი.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი – საერთაშორისო პლატფორმა ROUTES EOROPE 2025-ზე

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები ესპანეთის ქალაქ სევილიაში საერთაშორისო პლატფორმა Routes Europe 2025-ზე იყო წარმოდგენილი, - ამის შესახებ ინფორმაციას „ტავ ჯორჯია“ ავრცელებს.

მათივე ცნობით, „ტავ ჯორჯიასა“ და TAV Airports Holding-ის გუნდმა ავიაკომპანიებსა და აეროპორტების ოპერატორებს საქართველოს ორი საერთაშორისო აეროპორტის სერვისები და პოტენციალი გააცნო.

„ტავ ჯორჯიამ“ გამართა ათობით შეხვედრა, მათ შორის ისეთ ავიაკომპანიებთან, როგორებიცაა Vueling-ი, ustrian Airlines-ი, Air India, Edelweiss-ი, Cyprus Airways-ი, Finnair-ი, Scandinavian Airlines-ი (SAS), Easyjet-ი, Air Serbia, Air Cairo და სხვა, ასევე, პოლონური აეროპორტების მმართველ Polish Airports-თან. აღნიშნული ავიაკომპანიების ნაწილი თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში უკვე ოპერირებს, ნაწილს კი შეხვედრების ფარგლებში „ტავ ჯორჯიის“ მომსახურებასა და თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში ოპერირების უპირატესობებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა.

Routes Europe რეგიონის ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა საავიაციო სფეროში. ეს არის პლატფორმა, რომელიც ერთ სივრცეში უყრის თავს ავიაკომპანიებს, აეროპორტებს, ტურიზმის სფეროსა და ავიაციის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ევროპის საჰაერო კავშირების განვითარების პროცესში.

„ტავ ჯორჯია“ მუდმივად მუშაობს თავის მართვაში მყოფი ორი აეროპორტიდან ახალი მიმართულებების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი ევროპულ მარშრუტებზე. კომპანია უკვე 20 წელია, საქართველოს საავიაციო ბაზარზე ოპერირებს და ამ პერიოდში საქართველოს ორი საერთაშორისო აეროპორტის აშენებასა და განვითარებაში 230 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა“, - აღნიშნულია „ტავ ჯორჯიის“ ინფორმაციაში.

სად გადის ზღვარი ბავშვის სიცელქესა და ქცევის დარღვევას შორის?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბევრი მშობელი და მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ბავშვების სიცელქე საზღვარს სცდება და უკონტროლოა... ამ აქტუალურ თემაზე ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი და სპეციალური განათლების მასწავლებელი ***ანა ძანთარია*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ანა, რომელი ასაკიდან იწყება ქცევითი პრობლემები და როდის ხდება საჭირო პროფესიონალისთვის მიმართვა?

- ქცევითი სირთულეები ბავშვმა შეიძლება ძალიან ადრეულ ასაკში გამოავლინოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იწყება დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ემოციური თვითრეგულაციის პირველი მცდელობები და კომუნიკაციის განვითარება. კვლევების თანახმად, პირველი ნიშნები შესაძლოა გამოჩნდეს 18-დან 24 თვის ასაკში, მაგრამ ყველაზე ხშირად ქცევითი პრობლემები თვალსაჩინო ხდება 2-დან 5 წლამდე ასაკში, რაც შეესაბამება ეგრეთ წოდებული ნორმალური განვითარების კრიზისებს. მნიშვნელოვანია, დავაცალკევოთ განვითარების ნორმალური სირთულეები და არანორმატიული ქცევითი პრობლემები, რადგან ყველა ბავშვი გადის გამოწვევებით სავსე ფაზებს, რაც ჯერ არ ნიშნავს ფსიქოლოგიური ჩარევის აუცილებლობას. პროფესიონალისთვის მიმართვა აუცილებელია, როცა: ქცევები ინტენსიური და ხანგრძლივია - ანუ პრობლემური ქცევები გრძელდება კვირების ან თვეების განმავლობაში, ზრდის ტენდენციით; ბავშვი აზიანებს საკუთარ თავს ან სხვებს - ფიზიკური აგრესია, ნივთების განზრახ დაზიანება; ქცევა ხელს უშლის ბავშვის განვითარებასა და ყოველდღიურ ფუნქციონირებას, მაგალითად, სოციალურ ურთიერთობებში, სწავლის პროცესში, ოჯახურ ცხოვრებაში; არ ამართლებს ტიპური აღზრდის მეთოდები - უკიდურესი დაღლა, უმოქმედობის განცდა, დამთრგუნველი ურთიერთობა ბავშვთან. კვლევები გვიჩვენებს, რომ ქცევითი დარღვევების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და ჩარევა მნიშვნელოვნად ზრდის პოზიტიური შედეგების შანსს და ხელს უშლის მომავალში უფრო სერიოზულ ფსიქოსოციალურ სირთულეებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეაგირება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემური ქცევები ბავშვთან ერთად იზრდება და არ იკლებს ასაკის მატებასთან ერთად.

- რა არის ქცევითი აშლილობის ყველაზე გავრცელებული ნიშნები?

- ქცევითი აშლილობები, როგორიცაა ოპოზიციური-გამომწვევი აშლილობა და ქცევითი აშლილობა, ძირითადად გამოიხატება სოციალური ნორმების, წესებისა და ავტორიტეტის სისტემატურად უარყოფით, აგრესიულ და ხშირად მიზანმიმართულად შემაწუხებელ ქცევებში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ქცევები გამოვლინდეს გრძელი პერიოდის განმავლობაში, კონკრეტულ გარემოებებში და სისტემატურად. ყველაზე გავრცელებული ნიშნებია: უარის თქმა და პროვოკაციული ქცევა - ბავშვი ხშირად ეწინააღმდეგება ზრდასრულთა მითითებებს, არ ემორჩილება წესებს, განზრახ არღვევს საზღვრებს; მოწიწებისა და სინანულის არარსებობა - არ აღიარებს თავის დანაშაულს, არ იჩენს სინანულს, ან ცდილობს პასუხისმგებლობის გადატანას სხვაზე; ზედმეტად აგრესიული ქცევები - დარტყმა, გინება, ნივთების დაზიანება, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა; პარასკევობა, სიცრუე, მანიპულაცია - რეკურენტული ტყუილი, მშობლების, მასწავლებლების მოტყუება ან სიტუაციების საკუთარის სასარგებლოდ შებრუნება; სკოლაში ან საზოგადოებაში წესების დარღვევა - მეტად შესამჩნევია სკოლის გარემოში კონფლიქტები თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მუდმივი დისციპლინური ზომები; ემოციური რეგულაციის სირთულეები - ფრუსტრაციასთან გაუმკლავებლობა, აფექტური ამოფრქვევები უმნიშვნელო გამოწვევებზე. კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვები, რომელთაც ეს ნიშნები აღენიშნებათ, ხშირად, ზრდასრულ ასაკში განიცდიან ფსიქოსოციალურ სირთულეებს - არასტაბილური ქცევები, სამართლებრივი პრობლემები, სოციოემოციური დისტრესი. ამიტომ საჭიროა დროული დიაგნოსტიკა და თერაპიული ჩარევა.

- რა განსხვავებაა ქცევით აშლილობასა და ნორმალურ ასაკობრივ სირთულეებს შორის?



- ქცევით აშლილობასა და ნორმალურ ასაკობრივ სირთულეებს შორის განსხვავების დადგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ბავშვი სხვადასხვა ეტაპზე გამოხატავს უარყოფით ემოციებს, რაც განვითარების ბუნებრივი ნაწილია, თუმცა საჭიროა, შევძლოთ მათ შორის ზღვრის გავლება. ნორმალური ასაკობრივი სირთულეები, როგორც წესი, დროებითია, გრძელდება 2-დან 6 კვირამდე და დაკავშირებულია კონკრეტულ სიტუაციებთან, როგორებიცაა დაღლილობა, შიმშილი ან რუტინის ცვლილება. ასეთი ქცევები ზომიერია და ასაკთან ერთად უმჯობესდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობლები იყენებენ პოზიტიურ და თანმიმდევრულ აღზრდის მიდგომებს. ამ დროს ბავშვის ქცევა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სოციალურ ურთიერთობებსა თუ ფუნქციონირებაზე. საპირისპიროდ, ქცევითი აშლილობა ხასიათდება ქცევის ქრონიკულობით, ხშირად გრძელდება მთელი წელი ან მეტიც, ინტენსიური და გამწვავებული ფორმით. ეს ქცევები ვლინდება ყველა გარემოში (სახლში, სკოლაში, საზოგადოებაში) და არ არის კონკრეტულ სიტუაციაზე მიბმული. ბავშვს უჭირს თვითრეგულაცია, ქცევა არ უმჯობესდება ასაკის მატებასთან ერთად და ხშირად იწვევს მნიშვნელოვან ზიანს როგორც სოციალურ ურთიერთობებში, ისე აკადემიურ ან ოჯახურ ფუნქციონირებაში. ასეთ შემთხვევებში მშობლების ტიპური, პოზიტიური მიდგომები არ არის ეფექტური და საჭირო ხდება პროფესიული ჩარევა. მაგალითად, ნორმალურია, თუ 3 წლის ბავშვი ტირის ან ყვირის, როცა ვერ მიიღო სათამაშო. ეს არის ემოციური თვითრეგულაციის განვითარების ნაწილი, მაგრამ თუ 6-7 წლის ბავშვი ყოველდღიურად მსგავსად რეაგირებს, თან არ აღიარებს თავის ქცევებს, ხშირად ეჩხუბება თანატოლებს, არღვევს წესებს და არ რეაგირებს მშობლის ან მასწავლებლის ჩარევაზე, ეს უკვე შეიძლება მიუთითებდეს ქცევით აშლილობაზე, რომელიც საჭიროებს შესაბამისი სპეციალისტისთვის მიმართვას და მიზანმიმართულ თერაპიულ ჩარევას.

- რომელი ფაქტორები შეიძლება იყოს ქცევითი აშლილობის გამომწვევი?

- ქცევითი აშლილობები განიხილება მრავალფაქტორიანი მოდელის ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ მათი წარმოშობა დამოკიდებულია სხვადასხვა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორის ურთიერთქმედებაზე. სამეცნიერო ლიტერატურა გვთავაზობს ეგრეთ წოდებული ბიოფსიქოსოციალურ მოდელს, რომელიც აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს: გენეტიკური ფაქტორები: კვლევებმა აჩვენა, რომ ქცევითი აშლილობების მქონე ბავშვების 40-60%-ს აქვს ოჯახის ისტორია, სადაც მსგავსი პრობლემები არსებობდა. გენები გავლენას ახდენს ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა იმპულსურობა, ემოციური რეაქტიულობა, აგრესიის რეგულაცია და თვითკონტროლი. განსაკუთრებული კავშირი იკვეთება დოფამინურ და სეროტონინურ ნეირომედიატორულ სისტემებთან, რაც გავლენას ახდენს ბავშვის ქცევით რეაგირებასა და გრძნობების მართვაზე. გარემო ფაქტორები: ოჯახური სტრესი, ეკონომიკური სირთულეები, მშობლების ქორწინებითი კონფლიქტები ან მშობლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ქმნის ბავშვისთვის არასტაბილურ და არაპროგნოზირებად გარემოს. მკაცრი, არათანმიმდევრული ან გულგრილი აღზრდის სტილი, ასევე, ფიზიკური დასჯის გამოყენება აძლიერებს აგრესიულ და დეფიანტურ ქცევებს. ფსიქოლოგიური ფაქტორები: ბავშვის ინდივიდუალური ტემპერამენტი (მაღალი მგრძნობელობა, რეაქტიულობა); გადატანილი ტრავმული მოვლენები, უარყოფითი ემოციური გამოცდილება ან მიტოვების განცდა; ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორებიცაა შფოთვითი აშლილობა, დეპრესია ან განვითარების დარღვევები, შესაძლოა, თანხვედრაში არსებობდეს ქცევით დარღვევებთან. ამ მონაცემების მოყვანით იმის თქმა მინდა, რომ ქცევითი აშლილობები ვერ აიხსნება ერთი ფაქტორით. ის იჩენს თავს, როცა გენეტიკური მიდრეკილება უკავშირდება სტრესულ გარემოსა და ფსიქოლოგიურ სირთულეებს. რაც უფრო ადრეულ ასაკში მოხდება ამ რისკების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, მით უფრო მაღალია პოზიტიური განვითარების შანსი.

> ***„ ქცევით აშლილობასა და ნორმალურ ასაკობრივ სირთულეებს შორის განსხვავების დადგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ბავშვი სხვადასხვა ეტაპზე გამოხატავს უარყოფით ემოციებს, რაც განვითარების ბუნებრივი ნაწილია, თუმცა საჭიროა, შევძლოთ მათ შორის ზღვრის გავლება. ნორმალური ასაკობრივი სირთულეები, როგორც წესი, დროებითია, გრძელდება 2-დან 6 კვირამდე და დაკავშირებულია კონკრეტულ სიტუაციებთან***

- როგორ მოქმედებს მშობლების ქცევა ან აღზრდის სტილი ბავშვების ქცევითი პრობლემებზე?

- მშობლების ქცევა და აღზრდის სტილი არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფაქტორი ბავშვის ქცევითი რეგულაციის განვითარებაში. ფსიქოლოგიური და განვითარების თეორიები მიუთითებს, რომ მშობლების თანმიმდევრული, ემპათიური და სტრუქტურირებული მიდგომა ეხმარება ბავშვს, დაარეგულიროს ემოციები, ასწავლოს საზღვრების მიღება და თვითკონტროლი. მავნე გავლენის მქონე აღზრდის სტილიდან განვიხილოთ ავტორიტარული აღზრდის სტილი (მკაცრი, არაემპათიური), რაც გულისხმობს ზედმეტად მკაცრ წესებს, ხშირ დასჯას და ბავშვის გრძნობების უგულებელყოფას. ის იწვევს შიშზე დაფუძნებულ დამორჩილებას ან პირიქით, აგრესიას და დეფიანს. ასევე, გულგრილი ან დაბალი ჩართულობის მქონე მშობლობა - ყურადღების დეფიციტი, ემოციური კავშირის შეწყვეტა ან არარსებობა, ქცევის იგნორირება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ბავშვში არასასურველობის სურათის შექმნას, რომ მისი ქცევა არავის ადარდებს, ეს კი პრობლემური ქცევის სიხშირეს ზრდის; აღზრდის სტილი, რომელიც გულისხმობს მკაფიო საზღვრების არქონას - თუ მშობელი ვერ ადგენს თანმიმდევრულ წესებს, ბავშვი ვერ სწავლობს რა არის მიღებული და მიუღებელი. ეს ქმნის ქაოსურ გარემოს, სადაც ქცევა არ რეგულირდება. განვიხილოთ აღზრდის დადებითი გავლენის მქონე სტილები, მაგალითად, ავტორიტეტული აღზრდა (თანმიმდევრული, მზრუნველი), რომელიც მოიცავს სტრუქტურას, წესებს და ამავდროულად, სიყვარულსა და ემპათიას. ასეთი მშობლები ხელს უწყობენ ბავშვის თვითრეგულაციის განვითარებას. ასევე, პოზიტიური მშობლობა და ქცევის მართვის სტრატეგიები - პოზიტიური განმტკიცება, წახალისება, წინასწარი მოლოდინების განსაზღვრა, წინასწარ შეთანხმებული შედეგების გამოყვანა და ემოციური თანადგომა აძლიერებს პოზიტიურ ქცევას და ამცირებს ნეგატიურს.

- რა არის ტანტრუმი და რატომ ხდება ის ბავშვებში?

- ტანტრუმი არის ძლიერი ემოციური აფეთქება და დაკავშირებულია ბავშვის უნარის შეზღუდვასთან, მართოს საკუთარი ემოციები, მოთხოვნები ან იმედგაცრუება. ტანტრუმის დამახასიათებელი ნიშნებია: ყვირილი, ტირილი, ძირს დაჯდომა ან დაწოლა, ფეხების ბაკუნი,ზოგჯერ აგრესიული ქცევები - ნივთების სროლა, დარტყმა ან დაცემა იატაკზე, ხშირად ბავშვი ამ დროს ვერ უსმენს, ვერ აზროვნებს ლოგიკურად და არ რეაგირებს მშობლის საუბარზე. ტანტრუმი დგება, როდესაც ბავშვს აქვს კომუნიკაციის შეზღუდვა - პატარა ასაკში ბავშვები ჯერ კიდევ ვერ ასახელებენ/გამოხატავენ თავიანთ გრძნობებსა და მოთხოვნებს, რაც იწვევს იმედგაცრუებას; ემოციური თვითრეგულაციის არქონა - ბავშვები ჯერ კიდევ სწავლობენ, როგორ დაამუშაონ ძლიერი გრძნობები (გაბრაზება, იმედგაცრუება, შიში); სასურველის მიღების მცდელობა - ტანტრუმი შეიძლება გახდეს ინსტრუმენტი, როცა ბავშვი აღმოაჩენს, რომ ამ გზით იღებს სასურველს. დაღლილობა, შიმშილი, ზედმეტი სტიმულაცია - ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად ზრდის ტანტრუმის ალბათობას. ტანტრუმი არ არის „ცუდი ქცევა“, ის არის განვითარების ბუნებრივი ეტაპი, რომლის მეშვეობითაც ბავშვი სწავლობს ემოციური მდგომარეობების რეგულაციასა და კომუნიკაციას. მშობლების პასუხი ამ ქცევაზე განსაზღვრავს, იქცევა თუ არა ტანტრუმი სტაბილურ პრობლემად.

- რომელი ასაკისთვის არის ტანტრუმი ნორმალური და როდის - აღარ?

- ტანტრუმი სრულიად ნორმალურია 1-დან დაახლოებით 4-5 წლამდე ასაკში. ეს არის განვითარების ის ეტაპი, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ვერ ფლობს საკმარის ემოციურ და კომუნიკაციურ უნარებს, რათა გააკონტროლოს იმედგაცრუება ან გაბრაზება. ნორმის ფარგლებშია, როცა ტანტრუმები იწყება 12-18 თვის ასაკიდან და, უმეტესად, ქრება 4-5 წლისთვის, ვლინდება ეპიზოდურად (არა ყოველდღიურად), ხდება კონკრეტულ სიტუაციაში (დაღლილობა, წესის დარღვევა, მოთხოვნის არშესრულება) და თანდათან იკლებს ინტენსივობა ასაკის მატებასთან ერთად. ამასთან, ბავშვი შემდგომში განიცდის სინანულს ან ცდილობს ემოციების დამუშავებას. ნორმიდან გადახრა ითვლება, როცა ტანტრუმები გრძელდება 6 წლამდე ან მეტ ხანს და არ იკლებს, ხშირად ვლინდება, დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ, თან სდევს აგრესიული ქცევა, ზიანი საკუთარი თავის ან სხვის მიმართ, ხელს უშლის სოციალურ და აკადემიურ ფუნქციონირებას და ბავშვს არ აღენიშნება თვითრეგულაციის უნარის გაუმჯობესება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა სპეციალისტის ჩარევა.

- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ტანტრუმის დროს?

- ტანტრუმის დროს მშობლის ქცევა გადამწყვეტია. სწორად რეაგირება მნიშვნელოვნად ამცირებს ამგვარი ქცევის განმეორების შანსს. რა უნდა გააკეთოს მშობელმა: უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, რადგან ტანტრუმი ემოციური აფეთქებაა და ბავშვს სჭირდება უსაფრთხო გარემო. არ გამოეხმაუროს მოთხოვნებს, რომლებიც მოდის ტირილის ან ყვირილის ფონზე. ამ გზით ბავშვს ვასწავლით, რომ ტანტრუმი არ არის ეფექტური კომუნიკაციის ფორმა. უნდა გამოიყენოს ემპათიური ფრაზები, როგორიცაა: „ვხედავ, გაბრაზებული ხარ“, „მესმის, რომ შენთვის რთულია“. უნდა შეინარჩუნოს სტრუქტურა და წესრიგი, მაგალითად: „ვხვდები, რომ გინდა სათამაშო, მაგრამ ჯერ საკვების დროა". უნდა შესთავაზოს ალტერნატივა, ან გაიყვანოს ბავშვი მშვიდ გარემოში, რათა დაეხმაროს მას დამშვიდებაში. რა არ უნდა გააკეთოს მშობელმა: არ დაიყვიროს ან დასაჯოს ბავშვი ფიზიკურად. ასეთი ქცევა ზრდის შიშსა და აგრესიას; არ დათმოს ტანტრუმის გამო და არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომელიც გამოხატულია ყვირილით ან აგრესიით; არ შეურაცხყოს ან დასცინოს ბავშვს („სირცხვილია“, „რა სასაცილოდ იქცევი“) - ეს ამძაფრებს ემოციურ დაძაბულობას.

- როგორ შევამციროთ ტანტრუმების სიხშირე და ინტენსივობა?

იხ. მე-9 გვ.

„ჩემი პერსონაჟები ღვთიური გზით მიმავალი ადამიანები არიან“...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

შარშან, თებერვალში, როცა ბათუმელ მწერალ ლალი ორმოცაძეს პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო - დავით აღმაშენებლის სახელობის ენდალმა და მედალი გადასცეს, ბევრმა გაიზიარა მწერლის სიხარული, განსაკუთრებით კი მათ, ვინც მწერლობაში ამ ქალბატონის დაუღალავ, თავდადებულ, შემოქმედებით საქმიანობას ადევნებს თვალს. მწერლის მხატვრული სამყარო საინტერესო და რეტროსპექტულია. წარსულის მღელვარე, ბობოქარი დღეებისა და მომენტების გაცოცხლებით გვაზიარებს იგი იმ ესთეტიკურ სიმაღლეს, რომლის სულში ამოზრდა ჩვენი გაადამიანურების, განკაცების წყაროა. ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი ვრცელი რომანი „პაემანი ზეცაში“. ღვთიური ძღვენი თანამედროვეთათვის - ვინც წაიკითხა, ასე აღიქვა ეს ნაწარმოები, ვფიქრობ, ვინც აწი წაიკითხავს, უთუოდ იპოვის იმ იშვიათ მარცვალს, მერე ჯეჯილად რომ აღმოცენდება და ჩვენს სულებს გაზრდის. დიახ, როგორც თავად ამბობს, ასე ხდება იმიტომ, რომ წიგნი სუნთქავს, ის ცოცხალი არსებაა

ჩასწვდე ადამიანის ბუნებას და დანიშნულებას, შექმნა ღირსეულთა, თავდადებულთა და მოღვაწეთა საინტერესო გალერეა, დიდ გონებრივ და ემოციურ მდგრადობას, მზაობას მოითხოვს და ლალი ორმოცაძე სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა.

ახლა მწერალი გამოსაცემად ამზადებს ესეების კრებულს: „ღვთაებრივი მოგზაური“... „პერსონაჟები თავად მეწვევიან და ცოცხლდებიან“ - გვიმხელს იგი და თავის სულიერ სამყაროში გვიწვევს სამოგზაუროდ.

მაშ, ასე, დღევანდელი ნომრის სტუმარია ცნობილი მწერალი ***ლალი ორმოცაძე.***

- ვინ ვარ მე? - როცა ამ შეკითხვას უსვამთ საკუთარ თავს... მაინც, ვინ ხართ: - ორთოდოქსი თუ თავისუფლად მოაზროვნე?

- საინტერესო შეკითხვაა. რაც შეეხება მცნებას „ორთოდოქსი“ ითვალისწინებს მართლმადიდებელი ქრისტიანის მრწამს, რომლის პასუხად მკითხველი ახლო მომავალში გაეცნობა ჩემს ახალ კრებულს „მე ვარ მართლმადიდებელი!“ აღნიშნული ნაშრომის დანიშნულება და ამოსავალი წყარო გახლავთ პიროვნებაში სულიერების ამაღლება. ცხადია, მიუღებელი დოგმებით შებოჭილი სული ვერასოდეს ჰპოვებს თავისუფლებას. თავისუფლების მნიშვნელობა მრავალფეროვანია. ვფიქრობ, ნების თავისუფლებაში გამოიხატება პიროვნების შინაგანი თვითგამორკვევა სიკეთისა და ბოროტების მიმართ. სულიერი თავისუფლება, ეს არის ზეციური ჯილდო, რომელსაც უფალი ანიჭებს თავის მსგავსსა და ხატს მხოლოდ ქრისტიანული ცხოვრებით. „სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (მოციქული პავლე. 2. კორ. 3, 17), რაც გულისხმობს გონების, გულის, ნებისა და სხეულის განახლებას ქრისტეს მოძღვრების შესაბამისად. თუკი ჩვენ ქრისტეს მსგავსნი და ხატი ვართ, უნდა გვახსოვდეს საკუთარი პიროვნების ორბუნებოვნება, რაც პიროვნების ქვეცნობიერში იწვევს „მე“-სა და მეორე „მე“-ს შორის განუწყვეტლივ ჭიდილს, მღელვარებას, შეთანხმება-ვერშეთანხმებას, ჭეშმარიტების ძიებას ადამიანის გრძელსა და მაინც მოკლე, მართლაც, წუთის სოფელში. ადამიანი მოვალეა, პირუთვნელად წრფელი, პატიოსანი ზრახვებით, სამართლიანად, ქრისტიანულად განსაჯოს მასში არსებული მთრგუნველი „მე“, რომელიც აბრკოლებს ზეციური „მე“-ს სულიერ აღმავლობას. ამაღლების საწინდარი თავისთავად გახლავთ ჩადენილი უკეთურობის აღიარება, მონანიება, რომლის შედეგი უცილობელი ზიარებაა უფლისმიერ ჭეშმარიტებასთან, რომლითაც იოლად ვიპოვით სულიერი თავისფლებისკენ მიმავალ გზა-ბილიკებს. საწუთო სოფელში ყოველივე ამაოა ამაოთა შორის, მხოლოდ ზნეობაა მარადისი. დაბოლოს, მოგახსენებთ, დიახ, მე გახლავართ თავის-უფალი მართლმადიდებელი!

- როცა პირველი ნაწარმოები გამოაქვეყნეთ, როგორი იყო მკითხველის რეაგირება, საერთოდ, ინსპირაცია საიდან მოდის?

- პირველი გახლდათ მცირე მოცულობის ჩანახატი. მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი. აივანზე ხვიარა, მწვანეთვალება, ჩემი საყვარელი ყვავილი მქონდა ქოთნით ჩამოკიდებული. იმ ღამით ქარი ამოვარდა. დილით ჩამოგლეჯილი და დალეწილი დამხვდა. მართალია, მცენარე გავაცოცხლე, მაგრამ ვერ აღვწერ, ისეთი ტკივილი განვიცადე და დავწერე ყვავილის განცდები.... მშობლების რჩევით გადავწერე ლამაზად და მამაჩემმა ფოსტით გააგზავნა მაშინდელ საბავშვო ჟურნალ „დილაში“. გამოქვეყნდა. მთელი სკოლა, სამეგობრო, პედაგოგები მილოცავდნენ. ეს იყო დიდი მუხტი შთაგონებისა, ხელახლა შემექმნა უკეთესი და ახალი. ჰოდა, ვწერე და ვწერე. მიმაჩნია, შთაგონების გარეშე არაფერი არ იქმნება ხელოვნების ნებისმიერ დარგში.

- მწერალი ყველა საუკუნის ადამიანს ელაპარაკება, ცხადია, თქვენც. თქვენი არჩევანი ისტორიის რომელი მონაკვეთია და საერთოდ, რამ განაპირობა თქვენი რეტროსპექტული მიმართულება?

- ჩემი წარსულ ეპოქათა სივრცეებში ნავარდის საფუძველი გახლავთ საქართველოს და სხვა ქვეყნების კლასიკურ ლიტერატურასა და მატიანეთა სიღრმეების ცოდნის ინტერესი. არჩევანი არ არსებობს, მაინტერესებს ყველა და ყველაფერი. ანტიკური და თანამედროვეც. თქვენ ბრძანეთ, მწერალი ყველა საუკუნის ადამიანს ელაპარაკებაო. დიახ და დიახ. დასტურად დიად გოეთეს მოვიშველიებ: „ძვირფასო მეგობარო, ჩემი ნაწერები ვერ იქნება პოპულარული, ვინც ამას ფიქრობს და ცდილობს, ცდება, ისინი არაა დაწერილი მასებისთვის, არამედ ცალკეული ადამიანებისთვის, რომლებიც იმასვე ეძებენ, რასაც მე ვეძებ, და იზიარებენ ჩემს მისწრაფებებს... მე ათასწლეულებში ვცხოვრობ“... ვეთანხმები გოეთეს და იქვე ვწერ: - და ვინც ჩემთან ერთად ინებებს უსასრულო გალაქტიკაში ღვთაებრივ მოგზაურობას, მხოლოდ იმათ ვეპატიჟები მხურვალე სიწრფელით, თუკი გოეთესავით იმასვე ეძებთ, რასაც მე... და განა მხოლოდ მე და გოეთე? ნათლისმცემელ იოანეს ხმაც კი წვდება ათასწლეულთ ცის სამანებს... ,,ნუ გაგიკვირდებათ, რომ გითხარი: თქვენ თავიდან უნდა იშვათ მეთქი“ (იოანე). აი, ასეთი წინასიტყვაობით იხსნება ჩემი ახალი, გამოსაცემი ესეების კრებული, რომელსაც ვუწოდე ,,ღვთაებრივი მოგზაური“. მე ისევ წარსულში ვარ და ამჟამად ვმუშაობ საკმაოდ ვრცელ, მნიშვნელოვან თხზულებაზე - მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან... ოსმალეთი, სპარსეთი, საფრანგეთი, რუსეთი... ვახტანგ მეექვსის მეფობის პერიოდი...

- ჩასწვდე ადამიანის ბუნებას და დანიშნულებას - მწერლის ამ ვალის შესრულებისას ყურადღებას რაზე ამახვილებთ, რა სახის ლიტერატურული შრომა გიწევთ, ანუ როგორ აცოცხლებთ პერსონაჟებს, მისი განსახოვნებისთვის რა მხატვრულ ხერხებს იყენებთ და ა. შ.

- იცით, რა ხდება? თუკი ძალიან მიმიზიდა რომელიმე ეპოქამ, ფიქრით მაწვალა, ისევ დავუბრუნდები, ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლი სანდო წყაროებზე დაყრდნობით. მერე თავისთავად, დაუგეგმავად მოდის იდეები... იდეების პარალელურად, შესაბამისი ეპოქის პერსონაჟებიც თავად მეწვევიან, ცოცხლდებიან. მე რაც უნდა მოვინდომო, ჩემს ჭკუაზე არ და ვერ მომყვებიან. პირიქით, ისინი მოძრაობენ, განიცდიან, ცხოვრობენ თავიანთი ცხოვრებით. მხარდამხარ, ერთად მივეშურებით მოცემულ სამყაროში, მთავარია, მე კალმით დავეწიო და რაიმე არ გამომრჩეს ჩაუწერელი, არანაირ მხატვრულ ხერხებს არ დავეძებ, თავად პერსონაჟები იქმნიან სულიერსა და ფიზიკურ სამოსელსაც იმის მიხედვით, ვინც არიან ისინი.

- ლალაკტიონი გიწოდათ ერთმა ლიტერატურულმა გურმანმა, თქვენი ვრცელი მოთხრობა რომ წაიკითხა გალაკტიონზე... მოგვითხრეთ ამ ნაწარმოებზე, რამ შთაგაგონათ, როგორ შეასხით ფრთები დასახულ მიზანს?

- დიახ, და ეს ლიტერატურული გურმანი გახლავთ ნიჭიერი მუსიკოსი, ჩვენი თანაქალაქელი, ბატონი შოთა დუმბაძე. დასახული მიზნის ფრთების შესხმას მე როგორ გავბედავდი დიდი გალაკტიონის წინაშე? უფალმა გაიღო მოწყალება და ბუმბერაზმა პოეტმა თავად შემასხა ფრთები. წლების წინათ გალაკტიონის სახლ-მუზეუმის ეზოდან, გალას ფანჯარასთან აყვავილებული იასამნის რტო წამოვიღე. გავახარე და დღეს უკვე ფესვებმოძლიერებული ჩემს ეზოში (გურია) სუნთქავს, ცოცხლობს, როკავს, პოეზიის მელოდიით შარიშურობს. უსაშველოდ ბედნიერი ვარ ამ გაუგონარი საოცრებით. ასევე, მზად მაქვს გამოსაცემად კრებული „მე და მეფე“, რომლის პრეზენტაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს ჭყვიშელი ხელმწიფის მშობლიურ ეზო-კარში! გალაკტიონი? ჩემში ჩასახლდა გალაკტიონი! და ახლაც, დიახ ახლაც ვეჩურჩულები დიადი პოეტის იმიერ მუზას, გალაქტიკური გალაკტიონის უკურნებელი სიგიჟის სენით მე დავსნეულდი... ვერ განვიკურნე... გალა! შენთან ვარ! არა ვარ მერი, ოცნების ქალი, ეს მე ვარ, შენი სიგიჟის ქარი! ვარ ძოწისფერი, ელვარე ლალი, ალმასის ქვაში ვთრთი ნაპერწკალი!... ციდან მოცეკვავს წვიმების თქეში, ტალღა ორკესტრობს აქაფებული, როკვით იფრქვევა, ვით ბროლის შხეფი, გალა მოცურავს ცხადად ხილული... ჰოი! მთის ჩანჩქერივით მონიაღვარდა, მითოსში იშვა ლურჯა რაშებით მხედარი მზისა, უსასრულობის დარიც, ავდარიც, ათასწლეულთა მზე-ავანგარდიც... ჰა, გიერთდებით საზვარაკო, ტარიგის ჯვარით, ნირვანას ღმერთი, ვით ავატარი... და ავედევნე, კვნესა-გოდებით, ვით მთვარეული, ჭკუაშეშლილი... - გატუნიაა, გალაა, შენ გეჩვენება, მე ვარ სიზმარი? არ დაიჯერო! შენი ჯილაგის ვარ ლერწი ვაზის, შენი ხატება, ვარ შენი მსგავსი... ჰოდა, გამიღე, გამიღე შენი სამარის საგანთიადო, რიჟრაჟის კარი, არ მეგულება სხვა სარკოფაგი, შენს სასახლეში უნდა ჩავსახლდე მზე, უჩინარი...

- რწმენა, როგორც ღვთიური ნიჭი და ღვთიური ძღვენი - ასეთი გააზრებით ფიქსირდებიან თქვენი პერსონაჟები ჩვენს წარმოდგენაში. თქვენ რომელს გამოარჩევთ?

- ჩემი პერსონაჟები, თითქმის ყველანი, ღვთიური გზით მიმავალი ადამიანები არიან. ნებისმიერი დიალოგის, მოქმედების ფინალი გახლავთ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების აღიარება, რაც დასტურდება აზრით, რომ კაცობრიობა გაჩენის დღიდან ორკეცად გახლდათ უფლის ერთადერთ პირმშო - იესო ქრისტეზე! მოლოდინი გამართლდა! იშვა კაცთა ცოდვების მხსნელი! ჩვენთვის ჯვარცმული, სულის გადამრჩენელი! რაც შეეხება პიროვნების გამორჩევას, თამამად ვაცხადებ, რომ თხზულების ,,პაემანი ზეცაში“ - პერსონაჟი ლილე ბაგრატიონი გახლავთ - ჭეშმარიტი მართლმადიდებელი! მართლაც, ზეღვთიური ნიჭით დაჯილდოებული, უფლისგან ბოძებული აუწონელი განძი! დარწმუნებული ვარ, იგივე განცდა დაეუფლება მკითხველსაც ნაწარმოების გაცნობისას.

- როცა ვრცელ ნაწარმოებს ქმნით, სუბლიმაციას ხშირად მიმართავთ? როგორ გეხმარებათ ეს მეთოდი მხატვრული სახის გამოძერწვაში? „პაემანი ზეცაში“ - ამ რომანის სახისმეტყველება რა ესთეტიკურ პრინციპს ეფუძნება და თქვენი აზრით, რას შესძენს მკითხველს მისი წაკითხვა?

- თქვენი შეკითხვა გულისხმობს ახალი, მოჭარბებული ენერგიით პერსონაჟის გაცოცხლებას მხატვრული სახით. ჩემი მხრიდან ალბათ, ეს მოვლენაც თავისთავად ხდება, რასაც ასაზრდოებს წარმომავლობის გენეტიკური, წინაპართა ფესვების სიღრმის მეხსიერება, სისხლის ყივილი, მიწიერიდან ზეციურისკენ სულიერი ლტოლვა, რისი დასტურიც გახლავთ თხზულებაში მოცემული ეპისტოლურ-ფილოსოფიური ხასიათის შთამბეჭდავი მსჯელობა. მთავარი აზრი ამ ბარათებისა გახლავთ მსჯელობა ცხოვრების არსის შეცნობისათვის, ადამიანის ამ ქვეყნად მოვლინების მისია, დანიშნულება, რისთვის მოდის ადამიანი? თუმცა, თხზულება მრავალფეროვანი ჟანრით გაჯერებული მხატვრული ლიტერატურა გახლავთ. რომანში ვეცნობით გეორგიევსკის ტრაქტატის შემდგომ დროინდელი ეპოქის ვითარებას, სამშობლოდან გადახვეწილ, ბაგრატოვანთა სამეფო შტოს ერთ-ერთი შთამომავლის ცხოვრებას საფრანგეთში. თხზულებაში გადმოცემულია ქართველი და ფრანგი ხალხების ადრეული საუკუნეებიდან განვითარებული, მეგობრული, კულტურული, სარწმუნოებრივი ურთიერთობები თანამედროვეობამდე, რომლითაც უთუოდ დაინტერესდება ქართველი და ფრანგი მკითხველი. მოცემულია საქართველოს წარსული ანტიკურიდან დღემდე, ასევე, აღწერილია სამოცი ტაძრის ხუროთმოძღვრება თანამდევი ისტორიული ფაქტებით. ვფიქრობ, ეს საუბარი შორს წაგვიყვანს და ცხადია, თუ სურვილი გექნებათ, უმჯობესია, თავად გაეცნოთ ნაწარმოებს და რას შესძენს მკითხველს, ესეც სრულიად ნათელი გახდება.

- დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რომელ ეპოქაში ისურვებდით ცხოვრებას, თუ მომავალში გამგზავრებას ამჯობინებდით?

- ამჟამინდელი ყოფიერებიდან დროის ნებისმიერ სივრცეებსა და დროში ვმოგზაურობ! მომავალში კი აუცილებლად ვეწვევი ისევ დედის მიწას!

- გული გწყდებათ, დიდ წიგნებს არ კითხულობენო. თქვენი აზრით, რატომ და მათ ბიბლიოთერაპიის სიკეთეს ხომ არ შეახსენებდით?

- ტექნიკის ცივილიზაციის მიღწევა, განვითარება მისასალმებელია, მაგრამ ზოგიერთი სფერო ადამიანმა ბოროტად გამოიყენა საკუთარივე გონების დასაჩლუნგებლად. ბიბლიოთერაპიით გონება ხსნილია, წიგნი სუნთქავს, ის ცოცხალი არსებაა.

- ზოგ ხელოვანს თავი უცხოპლანეტელად მიაჩნია, თქვენ?

- წარმოუდგენლად მიმაჩნია უცხოპლანეტელობა, ჩემი შორეული ფესვები უსასრულოდ არის ერთმანეთზე გადაწნული ჩემივე ძირძველი საქართველოს მიწა-მამულში.

- თქვენს სულიერ ნათესავად ვის თვლით და რა გიზიდავთ მათში?

- ვრცელი საკითხია საგაზეთო ფორმატისთვის, თუმცა დაუსრულებლად შემიძლია გესაუბროთ (მოვაწყოთ მეგობრული, ლიტერატურული საღამო) - გალაკტიონი, ტატო, კონსტანტინე, რობაქიძე, ყანჩელი, გოთუა, გუდიაშვილი, ბალზაკი, გოეთე, შოპენი, ამადეო, დავინჩი, მიქელანჯელო...

- წიგნმა ფორმა იცვალა, ბეჭდური თუ ელექტრონული - რომელს ამჯობინებთ?

- ცხადია, ბეჭდური!

- როცა ხვალინდელ დღეზე ფიქრობთ...

- ჩემი სამშობლოს გაბრწყინება, რაც ქართველი ერის ძლიერების საძირკველია!

- ქართული ენა დღეს და მომავალში. რას უნდა გუფრთხილდეთ?

- რაც ყველაზე მეტად მაშფოთებს, ეს გახლავთ ენის გარდაცვალება. ჩვენვე ვკლავთ და ვანადგურებთ უფლისმიერ ენას ბარბარიზმების კორიანტელით. ენის გარდაცვალება ერის გაქრობაა!

- ბათუმი - რა ფერში აღიქვამთ?

- ჩემი სუნთქვა, ჩემი მშობლიური ბათუმი მარადიულად გარიჟრაჟისფერია.

- სამყაროვ, დამიგდე ყური - თუ ასე მივმართავთ სამყაროს, რა უნდა იყოს ჩვენი გზავნილი?

- ადამიანებო, კაცობრიობის გადარჩენისთვის შეიყვარეთ ერთმანეთი!

> *უნდა გვახსოვდეს საკუთარი პიროვნების ორბუნებოვნება, რაც პიროვნების ქვეცნობიერში იწვევს „მე“-სა და მეორე „მე“-ს შორის განუწყვეტლივ ჭიდილს, მღელვარებას, შეთანხმება-ვერშეთანხმებას, ჭეშმარიტების ძიებას ადამიანის გრძელსა და მაინც მოკლე, მართლაც, წუთის სოფელში. ადამიანი მოვალეა, პირუთვნელად წრფელი, პატიოსანი ზრახვებით, სამართლიანად, ქრისტიანულად განსაჯოს მასში არსებული მთრგუნველი „მე“, რომელიც აბრკოლებს ზეციური „მე“-ს სულიერ აღმავლობას*

ოტია იოსელიანის შემოქმედება გააცოცხლეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„სიშორით სიახლოვე“ - ასე ერქვა მონოსპექტაკლს, რომელიც ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. „სიშორით სიახლოვე“ ოტია იოსელიანის პირველი ლირიკული კრებულია, რომელშიც შესულია მწერლის როგორც ადრეულ, ასევე შემდგომ წლებში დაწერილი ლექსები

როგორც მონოსპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა გვითხრა, მას სურდა, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა დიდი მწერლის სულის ამოძახილი, რომელიც მეტი სიყვარულის, ერთგულებისა და სიკეთისკენ მოუწოდებს ადამიანებს. აღსანიშნავია პროექტის ავტორის, მსახიობ შალვა აბაშიძის სამსახიობო ოსტატობა, რომელმაც კიდევ ერთხელ განგვაცდევინა ის სიდიადე, სისადავე და სიღრმე, რაც ოტია იოსელიანის შემოქმედებას ახასიათებს.

- ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ნამდვილი ზეიმი შედგა. ვიხილეთ სპექტაკლის პრემიერა, რომელმაც თვალწინ გადაგვიშალა დიდი მწერლის შემოქმედებითი სამყარო, გვამოგზაურა მისი სულის ლაბირინთებში, სადაც დიდ სევდასთან ერთად სიყვარულიც ჩქეფს და სამყაროს სიკეთის მარცვლებით კვებავს. მონოსპექტაკლის მთავარი სათქმელი არის სიყვარული, ერთგულება, პატრიოტიზმი და ყველა ის დადებითი, ადამიანური თვისება, რომელიც მხოლოდ ადამიანშია. უნდა ითქვას, რომ ოტია იოსელიანმა ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი უდიდესი მწერლების გვერდით, ამიტომ, აუცილებელია ხშირად ვისაუბროთ მასზე. მოგეხსენებათ, ბათუმი არ არის განებივრებული ჩვენი მწერლების, პოეტების შემოქმედებაზე აგებული მონოსპექტაკლებით და ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, აღნიშნულ სპექტაკლზე მემუშავა. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ შალვას, მსახიობს, რომელმაც მთელი სისავსით და სიღრმით წარმოაჩინა მწერლის შემოქმედება. ბოლომდე დაიხარჯა და შეძლო მაყურებელთა გულში შეღწევა. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც სპექტაკლს დაესწრო და, განსაკუთრებით, ბატონ ოტიას შვილს - დაჩი იოსელიანს. ჩვენ დიდხანს უნდა ვაცოცხლოთ ბატონი ოტიას შემოქმედება და შემდგომ თაობებს მოვუყვეთ, როგორი დიდი მწერალი ჰყავს ქართულ ლიტერატურას, - გვითხრა ნინო დავითაშვილმა.

სპექტაკლს ესწრებოდა ოტია იოსელიანის მეგობარი მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ალექსანდრე ებანოიძე, რომელმაც გაზეთ „აჭარასთან“ მეგობრის შემოქმედებასა და იმ თვისებებზე ისაუბრა, რომელიც მწერალს სხვებისგან გამოარჩევდა:

- მიხარია, რომ დღეს აქ შევიკრიბეთ ჩემი უძვირფასესი მეგობრის ოტიას შემოქმედების გამო. ოტიასთან ძალიან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა, ადამიანურიც, შემოქმედებითიც, მისი არაერთი წიგნი ვთარგმნე. ოტია განსაკუთრებული ბევრ რამეში იყო, იმაშიც, რის გამოც დღეს აქ შევიკრიბეთ. მან ლექსები თითქმის 80 წელს მიტანებულმა გამოაქვეყნა, რაც იშვიათობაა. როგორც პიროვნება, შემოვიდა კი არა, შემოიჭრა ქართულ სინამდვილეში თავისი სვანური ქუდით და ყალიონით. სხვათა შორის, იმ დროს მთელ ინტელიგენციაში მოდაში შემოვიდა სვანური ქუდი. ოტიამ 30 წლის განმავლობაში სვანური ქუდი დაახურა ყველას. არ იყო უბრალო და მარტივი პიროვნება. უცნაურად შერწყმული იყო მასში ძალიან მსუბუქი და პოეტური თხრობის უნარი, მისი შემოქმედება იყო ლაღი და ამავე დროს ძალიან ღრმა და ტრაგიკული, რაც იშვიათობაა. ძალიან თავდადებული მეგობარი იყო, დიდი ადამიანი. მადლობა ბათუმს, ქალბატონ ნინოს, რომელმაც დადგა ეს არაჩვეულებრივი მონოსპექტაკლი და ბატონ შალვას, მსახიობს, რომელმაც ძალიან კარგად წარმოაჩინა და შეიძლება ითქვას, გააცოცხლა ოტიას შემოქმედება. მიმაჩნია, რომ ოტია ცოცხალი იქნება მანამ, სანამ ერთი ადამიანი მაინც იარსებებს, ვინც მის შემოქმედებას მიეახლება, - გვითხრა ალექსანდრე ებანოიძემ.

სპექტაკლის დასასრულს მსახიობმა მადლობა გადაუხადა ადამიანებს, რომლებიც გვერდში დაუდგნენ, რომ პროექტი შემდგარიყო.

სად გადის ზღვარი ბავშვის სიცელქესა და ქცევის დარღვევას შორის?

მე-7 გვერდიდან

- ტანტრუმის პრევენცია გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე მისი მართვა აფეთქების მომენტში. შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება: სტაბილური რუტინის შექმნა - დღის პროგნოზირებადობა ამცირებს შფოთვას და უკმაყოფილებას; წინასწარი გაფრთხილება ცვლილებებზე - მაგალითად, ხუთ წუთში ვწყვეტთ თამაშს“, ეხმარება ბავშვს ემოციურად მოემზადოს ცვლილებისთვის; პოზიტიური განმტკიცება - შექება იმ დროს, როცა ბავშვი აკონტროლებს ემოციას ან სწორად იქცევა, ამ დროს განვამტკიცებთ სასურველ ქცევას; არჩევნის შეთავაზება - როცა ბავშვს ვაძლევთ მცირე არჩევანს (მაგალითად, რომელ პერანგს ჩაიცვამ), მას უჩნდება კონტროლის განცდა და მცირდება პროტესტი; ემოციების სწავლება და ალტერნატივების მიწოდება - ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება, გამოხატოს საკუთარი ემოციები სიტყვიერად ან სიმბოლური აქტივობით (ხატვა, თამაში).

- რა როლი აქვს ემოციური რეგულაციის სწავლებას ტანტრუმების მართვაში?

- ემოციური რეგულაცია წარმოადგენს უნარს, დაარეგულირო, დაამუშაო და ჯანსაღად გამოხატო ემოციები. ემოციური რეგულაციის სწავლება არის ტანტრუმის პრევენციისა და მართვის ცენტრალური კომპონენტი. ემოციური რეგულაციის უნარის გარეშე ისინი ვერ უმკლავდებიან ძლიერი გრძნობების გამოწვევებს. რეგულაციის სწავლა ხელს უწყობს ტანტრუმების შემცირებას, რადგან ბავშვი სწავლობს ალტერნატიულ გზებს - როგორ მოიქცეს იმედგაცრუების, გაბრაზების ან შიშის დროს. სასწავლო მიდგომები მოიცავს: ემოციების დასახელებასა და გააზრებას - „გაბრაზებული ხარ, მოდი, ვილაპარაკოთ“. ასევე, დამშვიდების ტექნიკებს - ღრმა სუნთქვა, წყლის დალევა, ფერადი ქაღალდით მუშაობა. კარგი ალტერნატივაა, ასევე, მოთხრობების, ზღაპრების ან სიმბოლური თამაშების გამოყენებაც, რათა ბავშვმა უკეთ გაიაზროს საკუთარი ემოციური მდგომარეობა. ემოციური რეგულაციის უნარი ბავშვს არა მხოლოდ ტანტრუმის დროს, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება წარმატებული სოციალურ-ემოციური ურთიერთობებისთვის.

- არსებობს თუ არა განსხვავებული მიდგომები ასაკის, განვითარების დონის ან სპეციფიკური დიაგნოზის მიხედვით?

- დიახ, ქცევითი აშლილობის მართვა ეფექტური შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომებს, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, განვითარების დონეს და თუ არსებობს, თანმხლებ დიაგნოზს. ასაკობრივი მახასიათებლები: მცირე ასაკის (2-5 წლის) ბავშვებში ძირითადად, გამოიყენება თამაშზე დაფუძნებული მიდგომები, პოზიტიური განმტკიცება და რუტინის სტაბილიზაცია. აქ ყურადღება ექცევა ემოციების სახელდებას, თვითრეგულაციის სტრატეგიების განვითარებასა და მშობლის განათლებას. სკოლის ასაკის ბავშვებში (6-12 წელი) უკვე შესაძლებელია სტრუქტურირებული ქცევითი ჩარევების გამოყენება, როგორებიცაა ფუნქციური ქცევის შეფასება, სოციალური უნარების ტრენინგი და ინდივიდუალური ქცევითი გეგმის შემუშავება, მოზარდებში კი, გარდა ზემოთ ხსენებული მეთოდებისა, უკვე ერთვება კოგნიტურ-ქცევითი თერაპია, რადგან ამ ასაკში ბავშვი ფლობს მეტა-კოგნიტურ უნარებს (ემოციის გააზრება, მექანიზმების თვითანალიზი). განვითარების დონე და ინტელექტუალური შესაძლებლობები: ბავშვის კოგნიტიური და კომუნიკაციური უნარები განსაზღვრავს, რამდენად შესაძლებელია მისთვის ინსტრუქციის მიცემა, თვითრეგულაციის სწავლება და ფუნქციური კომუნიკაციის განვითარება. მაგალითად, არავერბალური ბავშვების შემთხვევაში გამოიყენება ალტერნატიული კომუნიკაციის სისტემები, ხოლო დაბალი ინტელექტის მქონე ბავშვებში მეტი დრო ეთმობა ვიზუალური მხარდაჭერისა და მოტივაციის სისტემების სწორად ადაპტირებას. საბოლოოდ, განსხვავებული დიაგნოზები მოითხოვს განსხვავებულ ინტერვენციებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჭიროებას ინდივიდუალურ, მრავალპროფილურ მიდგომაზე დაფუძნებული ჩარევებისკენ.

- რა ტიპის თერაპიები ან ჩარევები გამოიყენება ქცევითი აშლილობისას?

- ქცევითი აშლილობების მართვაში გამოიყენება მრავალმხრივი და კვლევებზე/მტკიცებულებებზე დაფუძნებული თერაპიები. ამ ჩარევების არჩევანი დამოკიდებულია პრობლემის ტიპზე, სიმძიმეზე, ასაკზე და თანმხლებ ფაქტორებზე. ქცევითი თერაპია: ქცევის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომები ეხმარება ბავშვს, შეისწავლოს ალტერნატიული, მისაღები ქცევები და თანდათან შეამციროს არასასურველი ქცევები. მნიშვნელოვანია ფუნქციური ქცევითი შეფასება, რაც დაგვეხმარება იმის გარკვევაში, რატომ იქცევა ბავშვი კონკრეტულად ასე, ანუ რის მიღწევას ცდილობს (ძირითადი ფუნქცია). კოგნიტურ-ქცევითი თერაპია: განსაკუთრებით ეფექტურია სკოლის ასაკისა და მოზარდებისთვის. ეხმარება ბავშვებს, გააცნობიერონ მათი აზრები, გრძნობები და ქცევები, დაამუშაონ ისინი სწორად და ისწავლონ ალტერნატიული ქცევის სტრატეგიები. ჯგუფური ინტერვენციები და სოციალური უნარების ტრენინგი: ეფექტურია თანატოლებთან კონფლიქტების, აგრესიის ან სოციალური გაუცხოების შემთხვევაში. ბავშვები სწავლობენ პრობლემების მშვიდად მოგვარებას, ემპათიასა და საზღვრების დაცვას. მედიკამენტოზური მკურნალობა: გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ქცევითი ჩარევები არ არის საკმარისი, ან ქცევითი აშლილობა თანმდევია სხვა ნეიროფსიქოლოგიურ დარღვევასთან (მაგალითად, ბიპოლარული აშლილობა). ეს გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა იყოს ფსიქიატრის მიერ მიღებული, მკაცრად ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით.

- რამდენად ეფექტურია სათამაშო თერაპია ან არტთერაპია ამ შემთხვევაში?

- სათამაშო და არტთერაპია წარმოადგენს არადირექტიულ, ემპათიურ და ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში განხორციელებულ ჩარევებს, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც ბავშვი ვერ ახერხებს, სიტყვიერად გამოხატოს ემოციები, ან განიცდის ფსიქო-სოციალურ სირთულეებს. უფრო ვრცლად მათ შესახებ: თამაშით თერაპია - ეს მეთოდი დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ თამაში ბავშვის ბუნებრივი ენაა. კვლევები აჩვენებს, რომ თამაშით თერაპია განსაკუთრებით ეფექტურია 3-10 წლის ბავშვებში, ქცევითი პრობლემების, შფოთვის, ტრავმული გამოცდილების ან ოჯახური კონფლიქტის ფონზე. ასევე, იგი ამცირებს აგრესიას, აძლიერებს თვითშეფასებას, ხელს უწყობს ემოციური თვითრეგულაციის განვითარებას. არტთერაპია - არტთერაპია იყენებს ხელოვნებას თვითგამოხატვის საშუალებად. მისი მეშვეობით ბავშვი არავერბალურად გამოხატავს რთულ ემოციებს, რაც ხშირად ვერ გადმოაქვს სიტყვებით. განსაკუთრებით ეფექტურია შფოთვის, დეპრესიის, ქცევითი აშლილობის და სოციალური დისტანცირების შემთხვევებში. მხატვრული აქტივობები აძლიერებს თვითრეფლექსიას, სიმშვიდესა და პრობლემების გადამუშავების უნარს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

განცხადება

2025 წლის 21 აპრილს, 15 საათზე, ბათუმის ნიჩბოსნობის კლუბის შენობაში გაიმართება აჭარის ნიჩბოსნობის რეგიონული ფედერაციის არჩევნები.

მისამართი: ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა №2 (ნურის ტბის მიმდებარე ტერიტორია).

მობილური: 599 92 94 52 - ლევან ჯიოშვილი.

აჭარის ნიჩბოსნობის ფედერაციის ადმინისტრაცია

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

R რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/04/25, 18 ⁵⁵ სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

შეხვედრა - აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აფხაზეთის მომსახურების სააგენტოს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების ორგანიზებით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან შეხვედრა გაიმართა, რომელშიც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, ბათუმის შოთა რუსთაველის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი აფხაზური ცენტრის ახალგაზრდებმა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გამართეს, მოეწყო თემატური გამოფენა.

აჭარაში ათასობით აფხაზი ცხოვრობს, მათ შორის, ფერიაში, ადლიაში, ანგისაში... სწორედ ფერიის საჯარო სკოლაში 2015 წლიდან აფხაზური ენა ისწავლება აჭარის განათლების და სპორტის სამინისტროს, აჭარის განათლების ფონდის თანადგომით. მას სკოლის მოსწავლეებს ეროვნებით აფხაზი, ფერიაში მცხოვრები პედაგოგი, ლინგვისტი ლიანა აიკუცბა ასწავლის. როგორც ამ სკოლის დირექტორმა ლეილა დუმბაძემ გვითხრა, სასიხარულოა, რომ აფხაზურ ენას არა მხოლოდ აფხაზები, ქართველი ბავშვებიც სიამოვნებით სწავლობენ. სკოლაში აქვთ უნიკალური ბიბლიოთეკა აფხაზურ ენაზე.

შეხვედრაზე **აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ** აღნიშნა: „ეს ადამიანები ურთიერთგაგების, აფხაზური ტრადიციების, ფასეულობების, კულტურის, ენის შენარჩუნების და დაცვის სიმბოლოები არიან, მხოლოდ მსგავსი ურთიერთგაგებით, სიყვარულითა და ტრადიციების შენარჩუნებით არის შესაძლებელი, გავძლიერდეთ და გადავარჩინოთ ჩვენი საერთო მომავალი. ბათუმში საოცარი საღამო გაიმართა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ურთიერთობების მნიშვნელობას. უზომოდ მადლიერი და ბედნიერი ვარ, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ქართულ-აფხაზური მეგობრობის ცენტრი შეიქმნა, რომელშიც სტუდენტების თითქმის მეოთხედია ჩართული. ისინი ატარებენ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებას, კონკურსებს, აწყობენ შეხვედრებს, ექსპედიციებს, კონფერენციებს, რომლებიც აფხაზეთს და აფხაზების თემატიკას უკავშირდება. დიდი ხანი არ არის, რაც უნივერსიტეტში აფხაზეთის დღეები ჩატარდა, საოცარი სანახაობა შემოგვთავაზეს ჩვენმა ახალგაზრდებმა. დღესაც ერთ-ერთი ძალიან ლამაზი ღონისძიება გაიმართა ბათუმში და სიმბოლურია, რომ აქ დაჯილდოვდნენ აჭარაში მცხოვრები აფხაზები, რომელებმაც შეინარჩუნეს ოჯახის ტრადიციები, ისტორიები, ფასეულობები... ეს იყო შეხსენება ჩვენი, ენგურს იქით მცხოვრები ძმებისთვის, რომ ასეთი სიყვარულით, ურთიერთობებითა და ურთიერთდაფასებით, ტრადიციების შენარჩუნებით შეგვიძლია მომავალი გავაძლიეროთ, გადავარჩინოთ და სიყვარულით გავერთიანდეთ ერთიანი მომავლისთვის. აფხაზი მუჰაჯირების რამდენიმე დასახლება დღემდე შენარჩუნებულია აჭარაში და სოფელი ფერია არის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სიმბოლო იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ ძალიან პატარა სოფელში აფხაზებმა შეინარჩუნონ საკუთარი წეს-ადათი, ტრადიციები, გვარი, სახელი, ისწავლონ აფხაზური ენა. უკვე მესხი ბავშვებიც სწავლობენ აფხაზურ ენას, მესხი სტუდენტები მღერიან აფხაზურად, ლექსებს ამბობენ.... ეს არის ძალიან საერო საქმე, რომელმაც სიყვარულით უნდა წაგვიყვანოს ერთობისკენ“.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ტიტე აროშიძემ აღნიშნა: „უნივერსიტეტში ფერიდე აცამბას კაბინეტი არსებობს. სამომავლოდ ვაპირებთ, შევქმნათ აფხაზური კვლევითი ცენტრი, რომელიც იმუშავებს უშუალოდ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე - მის ისტორიაზე, აწმყოზე, წარსულზე, რაშიც ჩართულები იქნებიან როგორც აკადემიური წარმომადგენლები - პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერი მკვლევრები, ასევე, ახალგაზრდები. სასიამოვნოა, რომ მათი მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდია და დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლოდ ამას აუცილებლად ექნება განვითარება და სწორედ ასეთი თბილი ურთიერთობებით, მშვიდობიანი ნაბიჯებით შევძლებთ, რომ საქართველო, როგორც ერთიანი, წარმოვაჩინოთ მთელ მსოფლიოში“.

აჭარის განათლების და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი:

- აფხაზეთის მთავრობის შესაბამის სამინისტროებთან, განსაკუთრებით, ბატონ დავით ფაცაციასთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდებისთვის არაერთ პროექტს ვახორციელებთ როგორც განათლების, ასევე, კულტურის ხაზით. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების მიმართულებით იზრდება ამ პროექტების ჩამონათვალი, რომელთა მთავარი სულისჩამდგმელები ჩვენი ახალგაზრდები არიან, მათ მომავალში ერთიანი, ძლიერი საქართველოს ისტორია უნდა შექმნან. აფხაზი და ქართველი ხალხების სიყვარულის, ურთიერთობის სიფაქიზის შესახებ მათ ინფორმაცია უფროსმა თაობამ გადასცა. სასიხარულოა, რომ აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, 10 წელია, ფერიის სკოლაში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც აფხაზური ენის, მისი კულტურის შენარჩუნებას ითვალისწინებს. ამიტომ ამ პროექტის მხარდაჭერას აუცილებლად გავაგრძელებთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე:

- ორი წელია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ შეიქმნა. ეს არის სრულად სტუდენტურ ინიციატივებზე დამყარებული ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ახალგაზრდების როლის გაძლიერება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. ბევრი რამ გაკეთებულა, ბევრი რამ კეთდება, ბევრი ღირსეული ადამიანია ამ საქმეში ჩართული, თუმცა ახალგაზრდებმა საკუთარი წილი პასუხისმგებლობა იგრძნეს და უნივერსიტეტის წინაშე დასვეს ცენტრის შექმნის საკითხი. დღეს ბათუმში ერთ-ერთი გასვლითი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც აფხაზური ცენტრი მონაწილეობდა. სტუდენტებმა ეს ღონისძიება იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსთან ერთად, აფხაზური ცენტრის ბავშვების ჩართულობით დაგეგმეს. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ღირსეული აფხაზების დაჯილდოება, მათი ღვაწლის აღიარება გახლავთ, რომლებიც ბათუმში ცხოვრობენ. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ მათზე სამომავლო-სამშვიდობო პოლიტიკაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე და აჭარაში მცხოვრები აფხაზები დააჯილდოვა.

„მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“ - თეატრში პრემიერისთვის ემზადებიან

ნანა აბულაძე 577 20 35 90

12 აპრილს, 17:00 საათზე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლის „მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“ (ეზოპეს იგავ-არაკის მიხედვით) პრემიერა გაიმართება, რომელიც რეჟისორებმა ნინო დავითაშვილმა და ვლადიმერ ბიბილეიშვილმა დადგეს. სპექტაკლი, რომლის სარეკომენდაციო ასაკი 4 წელი და მეტია, მოხერხებულ ბაყაყ ჩიკოს თავგადასავალს გვიამბობს და ისეთ აქტუალურ თემებს ეხება, როგორიცაა: სიმამაცე, თავდადება, გონიერება, განათლება, მეგობრობა და მოხერხებულობა

რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა „აჭარასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პატარებს წინ ძალიან საინტერესო და ზღაპრული სანახაობა ელით, რომელიც გაჯერებულია არაერთი მნიშვნელოვანი გზავნილით და პატარებს ასწავლის, რომ სიკეთე და სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, ცხოვრება კი სავსეა ბარიერებით, რომელთა გადასალახად სწორი გზა უნდა მოძებნო. მსახიობების მაღალი ოსტატობის, ორიგინალური რეჟისორული კონცეფციის და კომპოზიტორ მინდია ხითარიშვილის მიერ სპექტაკლისთვის შექმნილი ორიგინალური მუსიკის შედეგს პატარა მაყურებელი 12 აპრილს იხილავს.

- ყოველთვის, როცა სპექტაკლს ვდგამ, ვცდილობ, იყოს ფერადი, მუსიკალური, სანახაობრივად საინტერესო, ბავშვებისთვის დასამახსოვრებელი. იგავ-არაკი ხაზს უსვამს პერსონაჟის დადებით და უარყოფით მხარეებს. შავის და თეთრის დაპირისპირებას. ვცდილობთ, სათანადო დონეზე, მაღალ ხარისხში წარმოვაჩინოთ როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარე, რათა ჩვენი მაყურებელი პატარა ასაკიდანვე მიხვდეს, რა არის კარგი და რა - ცუდი, გაითავისოს ეს და მიღებული ცოდნა გამოიყენოს როგორც თავისთვის, ასევე, ოჯახისთვის, ქალაქისთვის, ქვეყნისთვის, რათა შემდეგ წესიერ, განათლებულ, შეგნებულ, ლმობიერ და სიკეთით სავსე ადამიანად ჩამოყალიბდეს. ეს არის ჩვენი თეატრის დანიშნულება. ჩვენ მოზარდს ვზრდით ესთეტიკურადაც, მორალურადაც და, რაც მთავარია - დრამის მაყურებლად, რათა შეიყვაროს თეატრი და ჩამოყალიბდეს მაყურებლად, ხელოვნების შემფასებლად და დამფასებლად. პიესა, რომლის მიხედვით პრემიერას 12 აპრილს შევთავაზებთ პატარა მაყურებელს, შემეცნებითი და დიდაქტიკურია, არაერთ გზავნილს აყოლერებს, მათ შორის იმას, რომ ერთგულება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ადამიანისა, ასევე - უანგარო მეგობრობა, სიკეთე და თანაგრძნობა. სპექტაკლში თვალნათლივ ჩანს, რომ ეს სამყარო წრეზე ტრიალებს, რომელშიც არაფერი იცვლება, ანუ იგივე ხდება ყველა დროში. სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, უანგარობა - ეს არის მთავარი ფასეულობები, რისთვისაც უნდა იცხოვროს ადამიანმა, - გვითხრა სპექტაკლის რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობს, თეატრს, კომპოზიტორ მინდია ხითარიშვილს, რომელმაც სპექტაკლისთვის ორიგინალური მუსიკა შექმნა.



მსახიობ მინდია ჩოხარაძის თქმით, პატარები ფერადი, სანახაობრივადაც და შინაარსითაც საინტერესო სპექტაკლის მომსწრენი გახდებიან.

- სპექტაკლი ძალიან ლამაზი და მრავალფეროვანი გამოვიდა. იგი მაყურებელს, ბავშვებს უყვება ვაუკაცობაზე, უანგარო მეგობრობაზე, თავგანწირულ სიყვარულზე, კეთილის და ბოროტის პაექრობასა და, საერთოდ, არაერთ ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან საკითხზე. სპეტაკლში არაერთი ამოცანაა ამოხსნილი და პასუხგაცემული. ზოგადად, ძალიან საინტერესოა თოჯინასთან ურთიერთობა. ის ძალიან სათუთია, თავის ხასიათს გაჩვენებს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, გინდა თუ არა, უნდა მოერგო, გაითავისო. თოჯინას, როგორც ნაზ ყვავილს, ისე უნდა მოექცე, მასთან დიალოგი გამართო, დაუახლოვდე, რათა შეგაძლებინოს იმ ხასიათის გადმოცემა, რომელიც მასშია. ვფიქრობ, ძალიან ლამაზი სპექტაკლი გამოვიდა. იგი თავისი დინამიკურობით, სიფერადით დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს აჩუქებს მაყურებელს, - გვითხრა მინდია ჩოხარაძემ.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დირექტორ ირაკლი კიკვაძის თქმით, თეატრი თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია ბავშვების ინტერესებზე და ყველაფერს აკეთებს, რათა მრავალფეროვანი რეპერტუარი შესთავაზოს.

- ვცდილობთ, ვიცოდეთ, რა მოსწონთ ბავშვებს და ამის მიხედვით შევქმნათ პროდუქტი. მაგალითად, ახლახან გვყავდა ჩამოყვანილი თურქი რეჟისორი, რომელსაც საბავშვო სპექტაკლებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ქალბატონ ნინო დავითაშვილს, რომელიც ამჟამად მუშაობს სპექტაკლზე, ჩვენს თეატრში და ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან შემოგვთავაზა პიესა „მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“, რომელსაც, ვფიქრობ, ბავშვები ძალიან კარგად მიიღებენ, ბევრ რამეს ისწავლიან, მაგალითად, იმას, თუ როგორები უნდა იყვნენ, როგორ უნდა მოახდინონ ამა თუ იმ გარემოში ადაპტირება. მიმაჩნია, ეს სპექტაკლი შინაარსითაც, მხატვრული თვალსაზრისითაც კარგი გამოვიდა. ძალიან ლამაზი თოჯინებია შექმნილი, ასევე - მოძრავი დეკორაცია, მონაწილეობენ ფანტასტიკური მსახიობები, რომლებიც ბავშვების თვალწინ აცოცხლებენ თოჯინებს. მოკლედ, უაღრესად საინტერესო სპექტაკლი ელოდება ჩვენს პატარა მაყურებელს, ვფიქრობ, ძალიან, გავახარებთ მათ გულებს, - აღნიშნა ირაკლი კიკვაძემ.

სპექტაკლის „მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“ ინსცენირების ავტორი ნინო დავითაშვილია, მხატვარი - გიორგი გოგიტიძე, რეჟისორის თანაშემწე - ნინო მუხაშარია. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: მინდია ჩოხარაძე, ირმა მგელაძე, ვანო მაღლაკელიძე, კობა ფაცურია, სოფიო ცინცაძე, მერი დიასამიძე და მარიკა ბულეიშვილი.